# საერთო გაზეთი

№22 (527) • 19 ივნისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ელიზბარ ჯაველიძე: თუ გვინდა ლგბტ თემი მოვაშოროთ ქვეყანას, ჯერ „ნაცები“ უნდა განვდევნოთ საქართველოდან



## გია ჟორჟოლიანი: საქართველოს ეკონომიკა რომ განვითარდეს, საჭიროა რადიკალური, რევოლუციური ცვლილებები

## ელბრუს მამედოვი: არ ვიცი, რით დასრულდება ყოველივე ეს, მაგრამ შედეგებზე პასუხისმგებლობა ჩვენ ყველას ერთად მოგვეთხოვება

## მოდელირებული ომი

### რეჟისორი – მისი აღმატებულება КГБ





„აქეთა მხარესაც კაგებეა, იქითა მხარესაც კაგებეა, შუაშიც კაგებეა და რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ ამ კაგებეების ომში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აქეთა ვართ, იქითა ვართ თუ შუაში ვართ – გამარჯვებული მაინც კგბ გამოდის“.



პრობლემები, რომლებიც დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის წარმოიშვა, სააკაშვილის მოღალატეობრივი პოლიტიკის ბრალია

## სამი ყვარყვარე არსაიდან







ჩვენ მომსწრენი ვართ რაღაცნაირი დროისა – ინდაურები ადვოკატობენ, ბატები მეცნიერობენ, ავაზაკნი მორალისტობენ, ბოზები პატიოსნობენ, ყვარყვარეები პოლიტიკოსობენ...

## არა სიძულვილის ენას! გაუმარჯოს სიყვარულს!





– სანამ კანონი არ მიუღიათ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ლევან ვასაძეს ის სახელი ვუწოდო, რასაც იმსახურებს – „ჩლუნგი ყ.ე“, – განაცხადა ნიკუტა გვარამიამ. მან საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს მის გამო და მის წინააღმდეგ იღებდეს ხელისუფლება ამ კანონს. არა, პატივცემულო ნიკუტ, ეს კანონი სწორედ რომ თქვენს სასარგებლოდ იმუშავებს. მისი მიღების შემდეგ ხომ ვერავინ დაგიძახებს „პეტუხს“, „ქათამს“, „პედერასტს“, „გეის“?!

## რობოტებმა შეიძლება ადამიანები დედამიწიდან განდევნონ

# მოდელირებული ომი

## რეჟისორი – მისი აღმატებულება КГБ

**ვახტანგ ხარჩილავა:**

— ორი არჩევანი აქვს ბიძინა ივანიშვილს — ან საკუთარი ნებით დათმოს ძალაუფლება, ან რევოლუციას მიიღებსო, — იმუქრებიან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები.

იმუქრება ბოკერია, იმუქრება ბურჯანაძე, ბაქრაძე, მელია, ხოშტარია, დავითაია, ვაშაძე, იმუქრება თვით მაჭუტაძეც კი... არაფერს ვამბობთ მთავარ დამმუქრებელზე, — სააკაშვილზე და პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტდამთავრებულ მის კნეინა სანდრაზე.

ისე, ხომ მაგარია, ქმარსაც და ცოლსაც, ორივეს, კგბ-ის პატრონაჟის ქვეშ მყოფი უმაღლესი სასწავლებლები აქვთ დამთავრებული — ერთს კიევში, მეორეს მოსკოვში, მაგრამ რომ ჰკითხო, დასავლეთიდან არიან მოვლინებულნი ჩვენს გადასარჩენად.

ლი ინერციით მაინც კგბ-ს დავუძახებ.

თითქოს მთელი მსოფლიო აქვს დაქსელილ-დავერბოვკებული ამ ძლევამოსილ კგბ-ს — კაცი, რომელიც ერთ-ერთ სამხედრო ალიანსში უმაღლეს თანამდებობას იკავებს, ბრახ და, კგბ-ს აგენტი არ აღმოჩნდება? გაიხედავ და ერთ-ერთი უმსხვილესი ევროპული პარტიის წევრთა დიდი ნაწილი კგბ-სთან თანამშრომლობს თურმე, გამოიხედავ და ერთი ქვეყნის პრემიერი თუ მეორე ქვეყნის პრეზიდენტი კგბ-ის რეზიდენტები ყოფილან.

ბეშნიკი ბიძით, თემურ ალასანიათი, დღემდე ინარჩუნებს საბრძოლო შემართებას და დასავლური ჟღერადობის და სულისკვეთების ომახიანი ლოზუნგების ქვეშ იმ წისქვილზე ასხამს წყალს, რომელსაც თამამად შეიძლება კგბ-ის წისქვილი დავარქვათ, სადაც „იფქვება“ ქვეყნებისა და ხალხების ბედი, აწმყო და მომავალი.

ვინ არის ამის გამკეთებელი და გამაანალიზებელი, თორემ დოკუმენტურად, უტყუარად მტკიცდება, რომ, რაც „ნაცმოძრაობამ“ მოიმოქმედა ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში,







**„აქეთა მხარესაც კაგებეა, იქითა მხარესაც კაგებეა, შუაშიც კაგებეა და რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ ამ კაგებეების ომში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აქეთა ვართ, იქითა ვართ თუ შუაში ვართ – გამარჯვებული მაინც კგბ გამოდის“.**

სად ერეკლე და სად ფაჩიკოს გარმონი, სად დასავლეთი და სად კგბ, მაგრამ ჩვენს უცნაურ და შეშლილ დროში, ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც ვერ გაიგებ, ვისი ვიოლინო ვის როიალშია და ეს კგბ-ის მიერ რუდუნებით აღზრდილი კადრები, იმის ნაცვლად, რომ მოსკოვი-თბილისის პირდაპირი რეისით ჩამოფრინდნენ, რამდენიმე წრეს დაარტყამენ დედამიწას და მხოლოდ ამის შემდეგ დაეშვებიან ქართულ მიწაზე, შუბლზე და უკანალზე მიკრული იარლიყით — „წარმოებულია დასავლეთში“.

რა დასავლეთი, რისი დასავლეთი, როცა ზოგი შჩოლოკოვის, ზოგი ანდროპოვის, ზოგიც ინაურის, ზოგიც შევარდნაძის კაგებეშნიკური თესლით არის შეკოწიწებული.

არა მარტო საქართველოში, დანარჩენ მსოფლიოშიც მიმდინარე მოვლენებს რომ ვაკვირდებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აქეთა მხარესაც კაგებეა, იქითა მხარესაც კაგებეა, შუაშიც კაგებეა და რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ ამ კაგებეების ომში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აქეთა ვართ, იქითა ვართ თუ შუაში ვართ — გამარჯვებული მაინც კგბ გამოდის.

ამ კგბს რაღაც სხვა სახელი ჰქვია დღეს, მაგრამ ეს სახელი უფრო მომწონს და ამიტომაც ძვე-

მოკლედ, კგბ არის ყველგან, კგბ არის გარეთ, კგბ არის შინ, კგბ არის ცაში, კგბ არის მიწაში.

კგბ-ის გარეშე საქართველოსაც რომ არ დატოვებდნენ, ცხადია, მით უმეტეს, საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სტრატეგიული რეგიონნია.

21-ე საუკუნის დასაწყისში კგბის პირველი ბოროტი „ხუმრობა“ ე.წ. ვარდების რევოლუცია იყო, როცა თავიანთი მობერებული კადრი შევარდნაძე, ახალგაზრდა კადრით, კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის, ანუ კგბ-ის საბაზისო ორგანიზაციის კურსდამთავრებული სააკაშვილით ჩაანაცვლეს, ქართველებს კი არწმუნებდნენ, სააკაშვილი პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსიაო და ამის საბუთად რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის სამ თუ ოთხთვიანი კურსების გავლის დამადასტურებელ სიგელებს გვიფრიალებდნენ ცხვირწინ, ეს იმ დროს, როცა კაცს კგბ-ის ინსტიტუტის დიპლომი ედო ჯიბეში.

როგორც ამბობენ, სწორედ კგბ-მ დააქორწინა თავისი კადრი მიშა თავის მეორე კადრზე — სანდრაზე.

ეს კეგებეშნიკური ოჯახი, ზურგამაგრებული მიშას კაგე-

ყველაფერი რუსული სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ გააკეთა.

კგბ-მ მეორედ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს „იხუმრა“ ბოროტად, როცა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რუსული სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი ამხანაგი გრიგოლ ვაშაძე დასახელდა, რომელიც საქართველომ კინაღამ მართლა აირჩია პრეზიდენტად.

კგბ-ს ბოროტი ხუმრობები რომ უყვარს, გასაგებია, მაგრამ რატომ არ აქვს იუმორის გრძნობა საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს, რომელიც ვერა და ვერ ხვდება, როგორ „გვეღადავებიან“, როგორ გვაბურთავებენ და გვამასხარავებენ?

სააკაშვილის შემთხვევაში კიდევ ჰო, ისე იყო მისი ფიგურა შეფუთულ-შეღებილი, რომ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს შეიძლებოდა რაღაც შეშლოდათ, მაგრამ გრიგოლ ვაშაძის შემთხვევაში ხომ ყველაფერი ცხადი იყო, მისი ბიოგრაფიის ყველა დეტალი ხომ ცნობილი იყო?

რა დაემართა ქართველ ერს, ნუთუ ის ასე ადვილად ემორჩილება ტვინის გამორეცხვის ტექნოლოგიებს, ჰიპნოზს და ფსიქოლოგიურ ზეწოლას?

დრო შეიცვალა და, გამომდინარე აქედან, შეიცვალა კგბ-ის მუშაობის სტილი, კადრების მომზადების მეთოდოლოგია, მათი ამა თუ იმ ქვეყანაში ჩანერგვის ტაქტიკა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე ამ მიმართულებით ის გახლავთ, რომ კგბ-ს დღეს „შემოვლითი გზით“, კერძოდ, დასავლეთის გავლით შეჰყავს თავისი კადრი ამა თუ იმ ქვეყანაში, შეჰყავს, როგორც პროდასავლური ორიენტაციის და იმავე დროს, მკვეთრი ანტირუსული განწყობის პერსონა, რომელიც სიტყვით რუსეთს უპირისპირდება, მაგრამ საქმით რუსეთის საქმეს აკეთებს.

**მერწმუნეთ, მთელი ეს ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები თუ ცალკეული პოლიტიკური პერსონები, რომლებიც დღეს ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ დასავლეთის სახელით, აშშ-ის სახელით, ევროკავშირის სახელით, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების სახელით ემუქრებიან, აშანტაჟებენ, რევოლუციას ჰპირდებიან, სინამდვილეში, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არიან მართულნი და მათ დაკვეთას ასრულებენ.**

ეს არის მცდელობა რუსეთის მხრიდან, მუდმივი წნეხის ქვეშ ამყოფონ საქართველო და მისი ხელისუფლება, განსაკუთრებით, ბიძინა ივანიშვილი და ის ნაბიჯები გადაადგმევინონ, რაც რუსეთის ინტერესებში შედის.

გაუთვალისწინებელი რამ თუ მოხდება და საქართველო კვლავ რუსეთის ორბიტისკენ გადაიხრება მთელი ეს ე.წ. პროდასავლური ოპოზიციური ძალა, ეს სააკაშვილები, რულოვსები, ვაშაძეები, ბოკერიები, ქარდავები, ბურჯანაძეები, გვარამიები, ხოშტარიები, ნათელაშვილები, უგულავები, სანიკიძეები, ნაყოფიები, ოქრუაშვილები, უსუფაშვილები, ხიდაშელები, ბაქრაძეები და კიდევ სხვა მრავალნი, ყველას გაუსწრებენ წინ და პირველნი მიეგებებიან რუსებს „ურას“ და „ვაშას“ ძახილით.

●

ეჭვს არ იწვევს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობამ ნორმალური, ცივილიზებული ფორმები უნდა მიიღოს.

პროცესების მართვა კულისებიდან, კონსპირაციულად, პროდასავლელებად შემოსაღებული აგენტების ხელით, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, აუცილებლად დაასუსტებს და დაანგრევს, დანგრეული და დასუსტებული ქართული სახელმწიფო კი რუსეთისთვისაც სერიოზული ხიფათის შემცველია.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს, საქართველომ ახლა მაინც გამოიფხიკოს ყურები და გამოიწმინდოს თვალები, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდეს, რა უფსკრულში უპირებენ მას გადაჩეხვას მისი „კეთილისმყოფელები“ „დასავლეთიდან“, რომელთა მზეც ყოველთვის აღმოსავლეთიდან ამოდიოდა და ახლაც იქიდან ამოდის...

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# თუ გვინდა ლგბტ თემი მოვაშოროთ ქვეყანას, ჯერ „ნაცები“ უნდა განვდევნოთ საქართველოდან

*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები „თბილისი პრაიდის“ გამართვას აპირებენ. კანცელარიის შენობასთან ამ თემას დიდი დაპირისპირება მოჰყვა.**

— ლგბტ საზოგადოებას ისტორიულ ჭრილში უნდა შევხედოთ, რომელმაც სამი, ძირითადი, საფეხური განვლო. ხალხი მათ ლგბტ-ს წარმომადგენლებს ეძახის, ჩემთვის, ისინი, პიდარასტები, დედათმავლები და მამათმავლები არიან. როცა გამოჩდნენ, პირველ საფეხურზე, მათი თეზისი იყო: ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, ნუ გვჩაგრავთ. ეს ბუნებრივი და მისაღებია. ადამიანი რომელიც დაბადებით ასეთი გახლავთ, ავადმყოფად ცხადდებოდა, თუმცა, მოგვიანებით ეს განმარტება




უგულვებელყოფილ იქნა. მეორე საფეხურზე ისინი ამბობდნენ: ჩვენ თანასწორნი, ერთნი ვართო. მესამე საფეხურზე, უკვე, მოდის ძალა, რომელიც გვეუბნება: თქვენ, აქედან მოშორდით, ქვეყანა ჩვენ უნდა ვმართოთო. ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეს თუ გადახედავთ: ზოგი პიდარასტი ქალაქის მერია, ზოგი — პრეზიდენტი და ა.შ. ამ ხალხმა გავლენის სფეროები მოიპოვა. როგორ გაჩნდა ეს ცნება — ლგბტ საზოგადოება? — ეს არ გახლავთ უბრალო მოძღვრება, მიმდინარეობა, არამედ ხელოვნურად შექმნილი სექტა, რომელიც ნორმალურ ცნობიერებას ანგრევს, რამაც წარმოშვა კიდეც პრობლემები. კერძოდ, გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლებელია კაცმა კაცი მოიყვანოს ცოლად, შედეგად, ბავშვებს ეყოლებათ ნომერი პირველი და ნომერი მეორე მშობელი. ამას წინათ ასეთმა „ოჯახმა“ ბავშვი აიყვანა, რომელიც არანორმალური მშობლების ხელში საშინელ წამებას განიცდიდა. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ პიდარასტები ყოველთვის იყვნენ. ჩვენს დროშიც იყო — ქიშვარდი, ტუზიკა, რომლებთან ერთადაც ვქეიფობდით, მათ შეურაცხყოფას არავინ აყენებდა. მათ თავისი ადგილი იცოდნენ, ჩვენ — ჩვენი. განსხვავება დიდია — დღეს ეს ძალა იმიტომ მოდის, რომ ჩემი შვილები, შვილიშვილები გარყვნას. საბედნიეროდ, ქართულ ოჯახს ასე ადვილად ვერ ერევიან. გავიხსენოთ, რა გააკეთა ჭიაბერაშვილმა — მან შექმნა კონცეფცია, რაშიც 38 ათასი დოლარი გადაუხადეს, თუ როგორ უნდა ებრძოლო ნორმალურ განვითარებას: თურმე ბავშვებს არ უნდა ვასწავლოთ საქართველოს ისტორია, მშობლიური ქართული და ოჯახში დავნერგოთ ის ღირებულებები, რაც ქვეყნისთვის დამანგრეველია. ახლა, „თბილისი პრაიდის“ გამართვა იმიტომ გადაწყვიტეს, რათა მსოფლიო საზოგადოებას დაანახონ — ქართული ტრადიცია არაფერს ნიშნავს. ქართველ ერს ღირსება არა აქვსო. ნებისმიერი რელიგიაში — მამათმავლობა და დედათმავლობა ყველგან დაგმობილია. რამ დაანგრია რომის იმპერია? — სწორედ ამ თვალთახედვის წინ წამოწევამ, რაც გარყვნილება იყო. ოსმალო სულთნებს რომში ვიზიტისას ქალები არ მიჰყავდათ, არამედ ბიჭების ჰარამხანას იძღოლიებდნენ. ახლა რა ხდება? — ქვეყანა გაირყვნა. დღეს, ლგბტ-ეობა პოლიტიკური მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. აქედან გამომდინარეობს მერე ის, რომ აღარ ხდება დემოგრაფიული განვითარება. ერი დღითიდღე მცირდება და ცოტა ხანში ქართველი ხალხი საერთოდ აღარ იარსებებს. აი, ეს არის მთავარი. ამ საკითხს სხვა კუთხით უნდა შევხედოთ და არა ასე: რა მოხდა მერე, ჩაიარონ რუსთაველზე და ჩვენც დავინახავთ რას წარმოდგენენო. რუსთაველზე ჩავლა, დემოკრატიას არ ნიშნავს. ეს არ არის ადამიანური, ჰუმანური ხედვა. ლგბტ-ეები არ ამბობენ: ჩვენ ავად ვართ, არამედ გაიძახიან: ჩვენ უნდა მოვიდეთ და თქვენ განზე გადექითო. სწორედ ამ თემით შოულობენ ფულს ეს ნაძირალა არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა კი არაფერით.

**— როგორ ფიქრობთ, „თბილისი პრაიდის“ მოწყობა ქართველი ერის ავტორიტეტს დააკნინებს?**

— ერის ავტორიტეტი უკვე დაკნინებულია. მეტი რაღა უნდა დაკნინდეს. ქვეყანა აღარაფერს ჰგავს. ბოდიში მომითხოვია, მაგრამ რაღაზე ვილაპარაკო, როცა ჩამოყალიბდა „ფუჩუს საზოგადოება“. ეს რას ნიშნავს, რა ფუჩუობით გვაკვირვებენ?! პარლამენტმა ჩააგდო კანონი, სადაც სამშობლოს თემა ფიგურირებდა. როცა სამშობლოს მოხსენიებაც კი აღარ გინდა, ჩათვალეთ, რომ ქვეყანა უკვე დაღუპულია. აი, აქეთკენ მივდივართ. ამიტომ, „თბილისი პრაიდის“ გამართვაზე ასეთი მიდგომა არ უნდა გვქონდეს — ჩაივლიან და მორჩაო.



დღევანდელ პოლიტიკოსებს რომ ვუყურებ, რისი იმედიღა უნდა მქონდეს — ისინი ბაყაყებივით ყიყინებენ და საზოგადოება ამ ყიყინით გააყრუეს. მას მერე რაც მთაწმინდაზე არჩევნები წააგეს უფრო აყიყინდნენ. გამოდის ბაქრაძე, რომელიც მოგვიწოდებდა საქართველო რუსეთის ტანკისგან დანა-ჩანგლით დავიცვათო და რას ბოდავს თავადაც არ უწყის. ერთი კარგად გადახედოს მისი სიმამარი როგორ შოულობს ფულს. ავიღოთ, თუნდაც ელენე ხოშტარია. ვინ იყო მამამისი? — ვითომ ზვიადისტი. ზვიადიმ რომ გაუშვა მერე, ყვიროდა: გამსახურდია, აქედან, ცოცხალი არ გაუშვათო. ელენე ხოშტარიას კი რუსეთის კაგებეს სკოლა აქვს დამთავრებული. დღეს, გამოდიან ეს ხოშტარიები, სამადაშვილები, ბოკუჩავები და მორალს მიკითხავენ. აღარ შემიძლია, სუნთქვა მიჭირს-ხოლმე, ქართულ არხებს აღარ ვუყურებ. მცირე გამონაკლისის გარდა, ქართული ტელევიზიის ყურება არ შეიძლება. ქადაგებენ ამორალურობას, უზნეობას. ჩვენ, დღეს, ვუყურებთ „რუსთავი-2“-ს და გვგონია, რომ ეს არხი ჭეშმარიტებას ქადაგებს იმიტომ, რომ ტვინი გვაქვს გამორეცხილი. უფრო მეტიც, თანაც გვგონია, რომ რასაც „რუსთავი-2“ გვაწვდის, ეს ჩვენი აზრია. მათ ყველაზე ნიჭიერად აითვისეს ის, რაც ადამიანს ათაყვანებს, მის გადაგვარებას უწყობს ხელს. ამიტომაც არის რომ ტელე-ეკრანიდან პიდარასტები გვექექლუცებიან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს ხალხი წინ არის წამოწეული. გავიხსენოთ, რა ხდებოდა წელს გერმანიაში, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე? თუ ითქვა რაიმე ჩვენი ბუმბერაზი მწერლებისა და პოეტების — ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, მუხრანის, ანას, მურმანის შესახებ? იქაც, პიდარასტები ჩაიყვანეს და წარმოუდგენელ უმსგავსობებს, უზნეობას ჰქონდა ადგილი. „ქართულ ოცნებაში“ არის ხალხი, რომელსაც ჩემსავით შესტკივა ქვეყნის ბედ-იღბალზე გული, მაგრამ არსებობს გარე ძალა, რომელიც ამ ხალხს ამუნათებს და აჩუმებს. **გახარებული ვარ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით. მისი თეზისები ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეა.** პირველი გახლავთ ის, რომ კაცისა და კაცის ქორწინება ქართველთათვის მიუღებელია. ამის გაჟღერების გამო ფულზე სულმიყიდულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ლამის ჩაქოლეს. მეორე, მან თქვა: „ნაცები“ ბოროტების სექტააო. „ნაცები“ უნდა განიდევნონ. მესამე, ღარიბაშვილმა განაცხადა: ჩვენი განათლება დიდგორიდან უნდა დავიწყოთო. სამივე თეზისს მივესალმები.

რა უნდა გათახსირებულ ბოკერიას პარლამენტში? — მან ხალხი ციხეში ამოხოცა. პატიმრებს ავტომატებით ხოცავდნენ, რასაც ბოკერია ხელმძღვანელობდა. მერე მილიონობით ფული დაჰქონდა, რათა სააკაშვილის ხელისუფლებას გაემარჯვა. დღეს, პარლამენტში მიზის, სათვალეები გაიკეთა და ჰგონია დაჭკვიანდა. რა უნდა მაგ ნაძირალას პარლამენტში? ეგ რეგვენი, თავისი ცხრა ღობეზე გადამხტარი მეუღლით ქართულ მიწაზე გასაჩერებლები არ არიან. არ შეიძლება ამათი წინ წამოწევა. სწორია თეზისი რასაც ირმა ინაშვილი აცხადებს: „ნაცები“ პოლიტიკის სივრციდან უნდა განიდევნონ. ამას შემდეგს დავამატებდი: „ნაციონალები“ არამარტო პოლიტიკის სივრციდან უნდა განდევნო, არამედ მათ საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმის უფლება არ უნდა ჰქონდეთ. „სპიდივით“ არიან ქვეყანას მოდებული. ძველად, ხოლერა და შავი ჭირი რომ ვრცელდებოდა, პირველ რიგში, ვირთხები იწყებდნენ მოძრაობას. „ნაცებიც“ სწორედ ასე არიან. ესენი არიან ჭაობის ბაღლინჯოები, გვეყო ამდენი მოთმენა, განვდევნოთ ისინი საქართველოდან და მაშინ ქვეყანასაც ეშველება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# პრობლემები, რომლებიც დღეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის წარმოიშვა, სააკაშვილის მოღალატეობრივი პოლიტიკის ბრალია

15 ივნისს, თავისუფლების მოედანზე „პატრიოტთა ალიანსის“ ორგანიზებით ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოსულმა ადამიანებმა, დავით გარეჯის გარშემო განვითარებული მოვლენები გააპროტესტეს.

**დავით თარხან მოურავი:** „საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებმა უნდა დაინახონ, რომ საქართველოს მოსახლეობა დავით გარეჯს არ დათმობს, რომელიც არც არასდროს ყოფილა აზერბაიჯანის. სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული გამოქვაბულები, მე-6 საუკუნეში თავისი ხელით გამოკვეთა დავით გარეჯელმა, რომელიც იქ ცხოვრობდა, მაშინ საერთოდ არ არსებობდა აზერბაიჯანი. ეს ტერიტორია არის ისტორიული კახეთი, რომელიც ყოველთვის საქართველო იყო. ჩვენ პატივს ვცემთ აზერბაიჯანს, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მეგობარი ქვეყანა, გვინდა ძმობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ დავით გარეჯს გავაჩუქებთ. ეს აქცია პირველ რიგში იმისთვის მოეწყო, რომ ჩვენი ხელისუფლება გონს მოეგოს, მიხეილ სააკაშვილმა თავის დროზე გაყიდა ეს ტერიტორია, დღევანდელმა ხელისუფლებამ რომ არ დააკანონოს ნაციონალებიც მოღალატეობრივი ქმედება“.



**ირმა ინაშვილი:** „არავის ეგონოს საქართველო მისი შპს, ეს ქვეყანა ქართველი ხალხისაა, დღეს ეს ხალხი აქციაზეა მოსული, გაბრაზებულია და ისე გაბრაზდება, რომ შემოდგომამდე ასი ამდენი გამოვალთ. ეს რეპეტიციაა, ჩვენ არ გავჩერდებით, აქციები სისტემატურ რეჟიმში გაგრძელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული ჩვენი ყველა მოთხოვნა“.

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე აცხადებდა, რომ 90-იან წლებში შედგა მოლაპარაკება ედუარდ შევარდნაძესა და ჰეიდარ ალიევს შორის, სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით. რესპოდენტის განცხადებით, საკუთარი თვალით ჰქონდა წაკითხული შესაბამისი ოქმი, რომ საზღვრის დადგენისას 1938 წლის რუკით უნდა ეხელმძღვანელათ, რომლის მიხედვითაც, ხსენებული კომპლექსი მთლიანად და მის მიღმა ტერიტორიის გარკვეული ფართობიც საქართველოს ეკუთვნოდა. დავით თარხან-მოურავიც ამ ორ პრეზიდენტს შორის შეთანხმებაზე და საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო კომისიების მიერ, 1995 წლის 13 ივნისს შედგენილ ოქმზე საუბრობს. მან წარმოადგინა 1938 წლის რუკაც, რომლის შესაბამისადაც უნდა დადგენილიყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი.

**დავით თარხან-მოურავი:** „ყველამ უნდა გაიგოს, რომ არაფერს დავთმობთ. აქციებს სხვა მიზანიც აქვს, ჩვენ მოვითხოვთ გამოძიებამ ამხილოს ის ხალხი, რომლებმაც სახელმწიფო კომისიის ფარგლებში, ნაციონალების მმართველობის პერიოდში გაყიდა დავით გარეჯის ტერიტორიაზე მიწები, ისინი ყველა უნდა დაისაჯონ. ვიმეორებ, ჩვენ არ ვმტრობთ აზერბაიჯანს, მაგრამ ილჰამ ალიევმა და მისმა ქვეყანამ უნდა გაიგონ, რომ არ



დავთმობთ ამ მონასტერს, არანაირი უკანდახევა არ იქნება და დაანებონ თავი იქაურობის მითვისებაზე ფიქრს. ილჰამ ალიევს წლებია ვიცნობ, გონიერი კაცი იყო და მგონია ასეთად დარჩა. ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა, ცუდს ვერაფრს ვხედავთ ალიევის იმ პოზიციაში, რომ თავისი ქვეყნის ინტერესებისთვის უნდა იბრძოლოს, მაგრამ ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის და სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს.

ახლა ჩვენ უბრალოდ გარეჯს კი არა, არამედ საქართველოს საზღვრებს ვიცავთ, ვამთავრებთ ჩამბარებლურ პოლიტიკას, როცა ნაციონალებმა გაყიდეს და ჩააბარეს კოდორის ხეობა, ახალგორი და ა.შ. აღარც აჭარაში არ იქნება რაიმეს დათმობა, საქართველოსთვის იწყება ბრძოლა და ამ ბრძოლის ნაწილია მიშა სააკაშვილის დასჯა. ეგენი ყველა უნდა დაისაჯოს, უკან დახევა და დათმობა აღარ იქნება“.

15 ივნისის აქციაზე მოთხოვნის სახით გაჟღერდა საკითხი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეისწავლის სახელმწიფო სადემარკაციო კომისიის საქმიანობას და გამოკვეთს რა სახელმწიფო ღალატის ტოლფასი დანაშაული იყო ჩადენილი ნაცების მიერ დაკომპლექტებული კომისიის წევრების მიერ. ირმა ინაშვილის განცხადებით, აქციაზე დაყენებულ მოთხოვნებს ხალხი ფაქტობრივად კენჭს უყრის ხოლმე, როცა თანხმობას თუ უარს გამოთქვამს, ზუსტად ეს არის ხალხის ჩართულობა. „აქ კენჭის საყრელიც არაფერია, დანაშაული რომ არის ჩადენილი, ეს მკაფიოდაა გამოხატული. არსებობს ამ კომისიის სხდომების სტენოგრამები და ჩანაწერები, სხვა დოკუმენტაცია, კლიპები, რომლის ანალიზიც ხდება. საქართველოში, როგორც წესი ცდილობენ ყველაფერს ზოგადი სახე მისცენ, მაგალითად, კი, არის ღალატი, მაგრამ ეს ზოგადია, იყო კოჰაბიტაცია, მაგრამ ესეც რაღაც ზოგადი თემაა და ა.შ. არავითარ შემთხვევაში, ღალატს კონკრეტული პერსონები ყავს, მოღალატეები და კონკრეტული შედეგი აქვს — ქვეყნისთვის ზიანი. ამიტომ არის მნიშვნელოვანი გამოძიების დაწყება, საპარლამენტო კომისიის შექმნაც, გარდა ამისა, იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ხვალ და ზეგ არავის გაუჩნდეს სურვილი, სახელმწიფო ინტერესებით ივაჭროს.

კოლექტიური ნაცები და მათი „მრევლი“ დავით გარეჯის თემასთან დაკავშირებით, ბოლო ხანს საეჭვოდაა გაყურსული, აღარ გვთავაზობენ „მსოფლიო დონის“ პოლიტიკოსის, ჰალსტუხიღეჭია „კრიშებზე“ მორბენალის კონსულტაციებსა და „მეგობრული კავშირების“ გამოყენებას. კოლექტიური დადუმება მას შემდეგ დაემართათ, რაც „არქივები“ ამოუქექეს სადემარკაციო კომისიის მუშაობის შესახებ.

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვარი პირველად 1920 წლის 13 ივნისს სამშვიდობო ხელშეკრულებით დადგინდა. იმ პერიოდში აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო, ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით ვღებულობდით მონაწილეობას ამ შეთანხმებაში. შემდგომ პერიოდში, საბჭოთა ხელისუფლების დროს, საზღვარი მრავალგზის იცვლებოდა და ბოლოს იგი ორმხრივად დამტკიცდა 1938 წელს საქართველოს და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიმართვების დადგენილებებით. ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში მხარეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, სახელმწიფო საზღვრის დასადგენ საფუძვლად 1938 წლის სასაზღვრო ხაზი მიეღოთ, საჭიროების შემთხვევაში სხვა არსებული დოკუმენტებიც გამოეყენებინათ. 1996 წლის 13 ივნისს ამ ოქმს



ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო კომისიის სახელით ბატონმა უკლებამ, ხოლო აზერბაიჯანის სახელით ბატონმა სალამოვმა. საქმეში ჩახედული და უბრალოდ საღად მოაზროვნე ყველა ადამიანი თანხმდება, რომ დღეს ამ ოქმის საპირისპირო ქმდებები ხდება, რაც წლებია გრძელდება. ეს პროცესი კი აქტიურად მას შემდეგ დაიწყო, რაც ნაცებმა საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრის დადგენა გადაწყვიტეს. 1938 წელს დადგენილი საზღვრით, რომლის დამადასტურებელი რუკებიც ბუნებრივია არსებობს, საზღვარი გადის იმ ქედის ძირში, რომელზეც სამონასტრო კომპლექსია განთავსებული, ასე რომ, ქედის აქეთ არსებული ყველა ქვაბული და მონასტერი საქართველოს შემადგენლობაშია.

ჰეიდარ ალიევმა და ედუარდ



შევარდნაძემ კი მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, რომ სტალინისა და ბერიას მმართველობის პერიოდის რუკით უნდა დადგენილიყო ორ ქვეყანას შორის საზღვარი, მაგრამ ამ შეთანხმების მიუხედავად ქართულ მხარეს წლების მანძილზე არაფერი გაუკეთებია საზღვრის საკითხის სამართლიანად გადასაწყვეტად, ხოლო ნაციონალების მმართველობის პერიოდში, როგორც ირკვევა სახეზე გვაქვს სახელმწიფო კომისიის მხრიდან ღალატის აშკარა ნიშნები. მედიასაშუალებებში გავრცელდა დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ილარიონის ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი განცხადება. „როდესაც პირველად მოხდა ასეთი ინციდენტი (ნაციონალების მმართველობის საწყის ეტაპზე), აზერბაიჯანულმა მხარემ წარმოადგინა რუკა, სადაც სახელმწიფო საზღვარი უდაბნოს მონაკვეთზე, უდაბნოს მონასტერი აშკარად საქართველოს ტერიტორიაზე იყო, ეს მათივე აზერბაიჯანული რუკით იყო ასე. სამწუხაროდ, ქართული მხრიდან ჩვენი კომისიის წევრებმა დადეს ისეთი დოკუმენტი, სადაც საზღვარი გადიოდა ისე, როგორც დღეს ითხოვს ამას აზერბაიჯანი. დანაშაულია ასეთი ეროვნული საკითხის მიმართ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. როცა აზერბაიჯანულმა მხარემ ნახა, რომ ჩვენები ამ რუკით ელაპარაკებოდნენ, ცხადია, მათ პრეტენზია გაუჩნდათ უდაბნოს მონასტერზე. ამათ თვითონ დაუმტკიცეს, რომ უდაბნო აზერბაიჯანელების იყო, მეტსაც გეტყვით, ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენლები, მინისტრები და მათი მოადგილეები ჩამოვიდნენ გარეჯში და განაცხადეს, რომ ეს აზერბაიჯანული ტერიტორიაა. ამის შემდეგ აზერბაიჯანელებს რაღა უნდა მოვთხოვოთ, როცა საქართველოს სახელმწიფო პირი ამას ხმამაღლა აცხადებს. თავისთავად ცხადია, რომ აზერბაიჯანი იქ თავის მესაზღვრეებს ჩააყენებდა. გაურკვეველი მიზეზებით დამახინჯებული რუკებით, საზღვარი ქედის ძირში კი არა, ქედის წვერზე გადის, რაც საქართველოსთვის წამგებიანია. სახეზე გვაქვს აშკარა ღალატი“, აცხადებს არქიმანდრიტი ილარიონი.

რის სანაცვლოდ დაამახინჯა რუკები „მაოხრებელი გზირის“, მიხო სააკაშვილის ხელდასმულმა სახელმწიფო კომისიამ, რა მიზეზით უფეშქაშა ამ ბოროტმა კლოუნმა აზერბაიჯანელებს ძირძველი ქართული მიწა, რომელსაც უდიდესი მართლმადიდებლური მნიშვნელობაც აქვს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი და-



ვით გაგნიძე მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს. სააკაშვილს აზერბაიჯანელების მხრიდან ძალიან დიდი ფინანსური მოგებები ჰქონდა და ახლაც გრძელდება ეს ამბავი. არ გახსოვთ, როგორ ეპირფერებოდა ილჰამ ალიევს?! ფულია მისთვის ყველაფრის საზომი, ეგ ხომ კაცი არ არის რომ იფიქრო, მეგობრობის გამო მისცემდაო.

**დავით გაგნიძე**: „როგორც გითხარით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა საქართველოს ფაქტობრივად არანაირ შემოსავალს არ მისცემს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ინტერესებს ემსახურება, სააკაშვილის ხელისუფლებამ კი ამ რკინიგზის დასამთავრებლად ისევ აზერბაიჯანისგან აიღო 775-მილიონიანი კრედიტი 25 წლის ვადით, წელიწადში 2%-იანი მომსახურებით, ანუ ყოველწლიურად 16 მილიონი დოლარი უნდა ვუხადოთ აზერბაიჯანს, მათი საქმე რომ ვაკეთოთ და ასე გაგრძელდება 25 წლის განმავლობაში. დავიწყოთ იმით, რომ ახალქალაქამდე ისედაც არსებობს რკინიგზა, მოკლე მონაკვეთია თურქეთის საზღვრამდე მისაყვანი, დიდი ფინანსისტ-ეკონომისტობა არ ჭირდება იმის დადგენას, რომ დაახლოებით 20-კმ-იანი რკონიგზის აშენებას ლამის მილიარდი დოლარი არ ჭირდება. ვის ჯიბეში წავიდა ეს ფული, ვინმეს სჯერა, რომ საკააშვილი საზღვარგარეთ აპარტამენტებს ქართველი ემიგრანტების მიერ შეგროვილი ფულით ყიდულობს?! ევროპა ისედაც გააკეთებდა მაგ ავტობანს, რადგან მათივე ინტერესშია. ჩვენ რისთვის ავიკიდეთ ამხელა ვალი, არ მესმის. რუსულ საიტზეა განთავსებული ინფორმაცია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც თითქოსდა 2017 წლის ოქტომბერში გაიხსნა, აშენებულია აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე. საწყის ეტაპზე ტვირთბრუნვამ წელიწადში ექვსნახევარი მილიონი ტონა უნდა შეადგინოს, ხოლო მგზავრთა ნაკადმა დროის ამავე პერიოდში მილიონ კაცამდე. ხსენებული რკინიგზა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს ჩინეთიდან ევროპისთვის აზერბაიჯანის გავლით, ტვირთების მიწოდების დროო. ჩვენს ტერიტორიაზე რკინიგზას აკეთებენ, ტვირთებმა თურმე დიდი ინტენსივობით უნდა იმოძრაოს, ვიღაცას მიწოდების დრო და შესაბამისად ხარჯებიც უნდა შეუმცირდეს და ამ დროს ჩვენ სად ვართ, არავინ არაფერს გვეკითხება. ისე იყენებენ ჩვენს ტერიტორიას, როგორც მოეხასიათებათ და თურმე ჩვენს ტერიტორიაზე სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფებიც აზერბაიჯანმა უნდა დაგვიდგინოს. ნაცებმა ის მრავალმილიონიანი ვალი იმიტომ აიღეს, რომ იმედი ჰქონდათ, რკინიგზიდან შემოსული თანხებით გადაიხდიდნენ. როგორც ირკვევა, ეს მონაკვეთი ფაქტობრივად დაუტვირთავია, დატვირთულიც რომ იყოს, თუ სხვა ქვეყანა გიდგენს შენს საკუთარ ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ტარიფს, მითუმეტეს როცა მისი მოვალე ხარ, ის შენს სასარგებლოდ გააკეთებს რამეს? მიხეილ სააკაშვილმა თავისი მოღალატეობრივი პოლიტიკით იმას მიაღწია, რომ ჩვენი ბედი საქართველოში აღარ წყდება.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# რა ბედი ელის ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტს?

*გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, სოსო არჩვაძე*

**— ბატონო სოსო, ყრმაწყლოვანი პორტი ანაკლიაში შენდება და თან ვერც შენდება. როგორც ცნობილია, საპარლამენტო სხდომაზე ახალმა მინისტრმა ისაუბრა ამ საკითხზე. რა პერსპექტივებია და რა ბედი ელის ანაკლისს პორტს?**



— გლობალიზაციამ, საზღვრების გახსნამ, ფართო სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა მთელი სიგრძე-სიგანით დააყენეს საქართველოს საზღვაო აკვატორიის ინტენსიური და ეფექტიანი გამოყენების საკითხი, კერძოდ, უკვე არსებულის და დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ახლის მშენებლობისაც. ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე, მოგეხსენებათ, საჭიროა სახელმწიფოს ერთიანი ნება, ერთიანი პოლიტიკის გატარება, რადგანაც საქმე ეხება არა მარტო მრავალმილიონიანი პროექტების რეალიზაციას, არამედ ქვეყნის მყარ და სოლიდურ ადგილს მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებსა და ტვირთბრუნვაში. ბუნებრივია, ეს არაა მხოლოდ სახელმწიფოს ამოცანა და იგი ბიზნესისა და ბიზნესმენების აქტიურ თანამონაწილეობასაც გულისხმობს. აქ მთავარია, ბიზნეს-ჯგუფების ინტერესებმა „მძევლად“ არ აიყვანოს სახელმწიფო და არ მოახვიოს მას საკუთარი ვიწრო, კორპორაციული ინტერესები. ამის საფრთხე კი აშკარად გამოიკვეთა ბოლო დროს ანაკლიისა და ფოთის პორტთან განვითარებულ მოვლენებში.



**საჯარო მოხელე, რა თანმდებობაც უნდა ეკავოს, საჭიროა აპელირებდეს და მოქმედებდეს სახელმწიფოს გრძელვადიანი, სტრატეგიული ინტერესებით.** როდესაც ის ამ თანამდებობაზე პროტექციით, რომელიმე ბიზნეს-ჯგუფის ლობისტების რეკომენდაციებით ინიშნება, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი, შესაბამისობაშია მისი ლობისტების ინტერესებთან. როგორც ამბობენ, თურმე, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი ქობულიას დანიშვნა ფოთის პორტზე ორიენტირებული ბიზნეს-ჯგუფის ინტერესებში მჯდარა.

რაც შეეხება **ანაკლიის პორტს, მისი განვითარება ქმნის სტრატეგიულ პლაცდარმს საქართველოს გავლით მსხვილი ტვირთბრუნვის უზრუნველსაყოფად**, მასზე მიბმული მრავალმილიარდიანი ინფრასატრუქტურით და ლოგისტიკით და საქართველოს ეკონომიკური პარტნიორებისა და პოლიტიკური მოკავშირეების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებისა და პროტექციის ობიექტად აქცევს.

ამ მხრივ, ანაკლიის პორტის მნიშვნელობა საქართველოს დაცულობისა და მდგრადი განვითარებისათვის შეუფასებელია.

**— რუსეთი და ჩინეთი თავის როლს და ფუნქციას ეძებენ ანაკლიის პორტის ფუნქციონირების საკითხში, როგორია ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესები ამ პორტისადმი?**

— ნოვოროსიისკის პორტს ანაკლიის პორტის სახით სერიოზული და თანაბარწონადი კონკურენტი უჩნდება შავ ზღვაზე. ეს საერთაშორისო ვაჭრობასა და საზღვაო სამართალთან შორს მყოფი ადამიანებისთვისაც კი ნათელი წარმოსადგენია.

ვფიქრობ, რუსეთიდან მოწვეული და ანაკლიის პორტის კონკურენტი ბიზნეს-ჯგუფის პროტექციით ხელისუფლებაში მოხვედრილი ეკონომიკის ყოფილ მინისტრი, ბატონი ქობულია, სკეპტიკურად იყო განწყობილი ანაკლიის პორტის პერსპექტივების მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, ეს პორტი დიდად გულზე არ ეხატებოდა, რეალურად კი პრემიერის ზურგს უკან, მისგან მალულად, ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხის პრაქტიკულ მოგვარებას ახორციელებდა.

საქმე ისე არ უნდა წარმოვაჩინოთ, რომ ანაკლიის პორტზე მომუშავე ბიზნეს-ჯგუფი და შესაბამისი კონსორციუმი მხოლოდ პატრიოტული მოტივებით მოქმედებდა და საკუთარ ეკონომიკურ სარგებელზე არ ფიქრობდა. ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა, რამეთუ ამგვარი დამოკიდებულება იმანენტურად არ ჯდება ბიზნესის ქცევის მოტივაციაში. უბრალოდ, სახელმწიფოსა და ანაკლიის კონსორციუმის ინტერესების თემატურ თანხვედრას ჰქონდა და ახლაც აქვს ადგილი.

**— ახალი მინისტრის დამოკიდებულება როგორია ამ საკითხისადმი?**

— მინისტრის ნათია თურნავას მიერ გაუქმდა ფოთში ახალ ღრმაწყლოვან ნავსადგურთან დაკავშირებით გაცემული დოკუმენტი. თუმცა მანამდე ფოთის პორტის “ეიპიემ ტერმინალის“ განცხადება იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ფოთში, ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემით გამოხატულ მხარდაჭერას აქვს ადგილი, ანაკლიის კონსორციუმის ნერვული რეაქცია მოჰყვა და თავისი საქმიანობისთვის ხელისუფლების მხრიდან მორიგ ხელშემშლელ გარემოებად დასახელდა.

ამაზე მახსენდება ფრანგი მჭევრმეტყველისა და მემუარისტის ფრანსუა ლაროშფუკოს მაქსიმა: თუ რაინდის ახლობელი ორი ბანოვანი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზითაც კი, ერთმანეთს გაებუტება, ეს საფრთხეს უქმნის რაინდს, რამეთუ მან შეიძლება ამ ბანოვანთაგან სულ ცოტა ერთ-ერთის კეთილგანწყობა დაკარგოს.

არც ფოთის “ეიპიემ ტერმინალი“ და არც ანაკლიის კონსორციუმი ის „ბანოვანები“ არ არიან, სახელმწიფომ, მათ სუბიექტური დამოკიდებულებით, თუნდაც ეკონომიკის მინისტრის დონეზე, მოახდინოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ პასუხობს ქვეყნის ინტერესებს. მათი რეაქცია, თითქმის სინქრონში გაკეთებული განცხადებები, თოკის საკუთარ მხარეს გადაჭიმვის სურვილთან ერთად „თემატური სოლიდარობის“ ნიშანსაც ატარებს. მაგრამ, მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ნებისმიერი პროექტის კონტრაქტორები შეიძლება „მოვიდნენ“ და „წავიდნენ“, ისევე როგორც ნებისმიერი პირი მინისტრის თანამდებობაზე. სახელმწიფო გრძელვადიანი ინტერესები კი რჩება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საქართველოს ეკონომიკა რომ განვითარდეს, საჭიროა რადიკალური, რევოლუციური ცვლილებები

*გვესაუბრება „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ დამფუძნებელი, პარლამენტარი ГИА ჟორჟოლიანი:*

**— ბატონო გია, 2012 წელს ხალხმა, ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით, „ნაცმოძრაობის“ სასტიკ რეჟიმს უარი უთხრა. თქვენ, ამ დრომდე, „ქართული ოცნების“ წევრი ბრძანდებოდით, თუმცა, პარტია დატოვეთ. რით იყო განპირობებული თქვენი გადაწყვეტილება?**

— პირველ რიგში, მინდა მადლობა მოგახსენოთ, მივესალმები თქვენს მკითხველს. „საერთო გაზეთს“ დიდ პატივს ვცემ. ადამიანების ის წრე ვინც თქვენს გაზეთს კითხულობს, უდაოდ, ქვეყნის განვითარებაზე ფიქრობს. დღევანდელი ვითარების აღსაწერად საუბარს 2012 წლის მოვლენებიდან დავიწყებ. მოგეხსენებათ, 2012 წელს



საქართველოს სინამდვილეში ძალიან მნიშვნელოვანი, ისტორიული ცვლილება მოხდა. კერძოდ, უარყოფილ იქნა რეპრესიული რეჟიმი, რაც ქართველი ხალხის საერთო ძალისხმევითა და ივანიშვილის ლიდერობით მოხდა. ჩვენი პარტიაც, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, საპროტესტო მოძრაობაში იყო ჩართული და ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ რეჟიმი მშვიდობიანად შეცვლილიყო. შემდგომ გახლდით პარლამენტში, სადაც „ქართულ ოცნებასთან“ ერთად აქტიური მუშაობა დავიწყეთ. გარკვეულ მიმართულებებში პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. პირველ რიგში, უარყოფილ იქნა რეპრესიები, როგორც პოლიტიკის წარმართვის ინსტრუმენტი, ასევე, დამკვიდრდა სიტყვის თავისუფლება, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგალითად, ჯანდაცვის მიმართულებით. გარდა ამისა, დაიწყო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, შეიცვალა შრომის კანონმდებლობა, დაიწყო დისკუსია რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე, რაშიც პირადად, აქტიურად, ვმონაწილეობდი. ამავე დროს, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი თავის პოზიციონირება პოლიტიკურ, იდეოლოგიურ სპექტრში მოახდინა როგორც მემარცხენე ცენტრისტულმა სოციალ-დემოკრატიულმა ძალამ, თუმცა, გადადგმული ნაბიჯები უნდა გაღრმავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანს, განვითარების კუთხით, ვერ მივაღწევთ. დღეს, აშკარაა, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ მიმართულებაში ვითარება საკმაოდ კრიზისულია და აღნიშნული წამოწყებები არ განვითარდა. მეტიც, იმ სფეროებში, რაშიც პირველი ნაბიჯები გადაიდგა, ახლა, მდგომარეობა ბევრად უარესია იქნება ეს ჯანდაცვის სფერო, სოფლის მეურნეობა თუ ა.შ. 2016 წელს, ჩვენ, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად საპარლამენტო არჩევნებში ვმონაწილეობდით. ინტენსიური საუბრები გვქონდა მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილთან იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელებულიყო, თანაც, განვითარება ყველაფერს უნდა შეხებოდა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. გვქონდა კონკრეტული წინადადებები, მთავრობასაც მივმართეთ. 2017 წლიდან გადავწყვიტეთ საქმიანობა დამოუკიდებლად გაგვეგრძელებინა, რადგან მივიჩნიეთ, რომ „ქართული ოცნების“ უმრავლესობის შიგნით დისკუსიის რესურსი ამოწურული იყო. სანამ გუნდს დავტოვებდით, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს დაველოდეთ. ეს არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ქვეყნის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო „ნაცმოძრაობას“ გაემარჯვა. ამიტომ, სალომე ზურაბიშვილს აქტიურად დავუჭირეთ მხარი. არჩევნების დასრულებისთანავე გადაწყვეტილება — „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ სისრულეში მოვიყვანეთ. აქვე, ველოდებოდით ბიუჯეტის მიღებას, სადაც კონკრეტული წინადადებები გვქონდა თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საგადასახადო სისტემა, ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა და ა.შ. ცხადია, მოლოდინი იმისა, რომ ეს წინადადებები გაზიარებული იქნებოდა, არ გვქონდა. არადა, ვფიქრობთ, რადიკალური ცვლილებების გარეშე ქვეყანა, ხალხი განწირულია იმისთვის, რომ კი არ განვითარდეს, არამედ გადარჩენისთვის იბრძოლოს. სამწუხაროდ, ადამიანების დიდი ნაწილი პერსპექტივის განცდას კარგავს. წარმოიდგინეთ, ჯანსაღი პატრიოტიზმიც კი კვდება. რასაკვირველია, პატრიოტიზმი უნდა ეყრდნობოდეს ჩვენს ტრადიციებს, კულტურას და ამაზე დაყრდნობით წინ, მომავლისკენ უნდა გავიხედოთ.



**— ბატონო გია, აქ, პატრიოტიზმი ცოტა უცნაურად ესმით. ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ქვეყნისთვის სასიკეთო პოზიციას გამოხატავს, მათ კი ბრალს სდებენ: რუსეთის მიერ ხართ პროვოცირებულნიო. გამოდის, პატრიოტიზმის გამოვლინება რუსეთის აგენტობას ნიშნავს?**

— პოლიტიკური ინსინუაციები, მანიპულაცია და გარკვეული ჯგუფების მიმართ სტიგმატიზება, არახალია. სამწუხაროდ, ასეთ გზას ვადგავართ. ამ ყველაფერს ბოლო ათწლეულების პოლიტიკა კვებავს. პატრიოტიზმი არ შეიძლება იყოს მხოლოდ წარსულზე ორიენტირება. თანამედროვე ქვეყანა უნდა გვიყვარდეს და გვინდოდეს, რომ იგი კარგი იყოს. აქ, კი ხშირია შემდეგი დამოკიდებულება — ქვეყანა გვიყვარს, მაგრამ თუ ხალხი ცუდად იქნება, ჩვენთვის სულერთია. ასე არ შეიძლება, იმედი არ უნდა დავკარგოთ. საბედნიეროდ, ჩვენი კულტურა, ხალხის პოტენციალი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ თანამედროვე, რთულ სამყაროში, მიუხედავად დიდი ჩამორჩენისა, მაინც განვვითარდეთ. დიახ, ჩვენ სწორედ განვითარების თვალსაზრისით ჩამოვრჩით. არადა, ამ ჩამორჩენილობის მიუხედავად, გვაქვს პოტენციალი წარმატებული ქვეყანა გავხდეთ. **ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს ოდნავ უკეთესად ან ოდნავ უარესად ყოფნა. ჩვენ უნდა გვქონდეს მიზანი და ამის ძალაც შეგვწევს, რომ საქართველო განვითარებული ქვეყანა გახდეს.** სხვაზე ნაკლები არც ახალგაზრდები გვყავს, არც ინტელექტუალური პოტენციალი გვაქვს, არც ისტორია და არც ტრადიცია. მე, უნივერსიტეტის პროფესორი გახლავართ და კარგად ვიცი დღეს რა მდგომარეობაა. ღირებულებების თვალსაზრისით, არამარტო ჩვენთან, არამედ მთლიანად მსოფლიოში, გარკვეული დაბნეულობაა და მნიშვნელოვანი ცვლილებებიც ხდება. ჩვენი ახალგაზრდები არავის ჩამორჩებიან. კი, რა თქმა უნდა, სრულიად გახსნილობას, გლობალიზაციას ერთგვარად ცუდიც მოაქვს, მაგრამ ღიაობაა და ჩვენი ახალგაზრდები ყოველგვარ მოწინავეს ეზიარებიან, მათ შორის, მეცნიერებას. ამ ყველაფერს რეალიზება სჭირდება. თუ სახელმწიფო პატრიოტიზმის მედროშე არ იქნა, წინ არ დადგა და ეს ქვეყანა არ წარმართა, ცალკეული ადამიანები ამას ვერ შეძლებენ. ეს ერთობლივი საქმეა — სახელმწიფოსი და ხალხის, რასაც ორგანიზება სჭირდება. სწორედ ეს გახლავთ კიდეც სახელმწიფოს ფუნქცია და როლი. ჩვენი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ნიჰილისტური დამოკიდებულებიდან ვერ გამოვედით. კერძოდ, საბჭოთა კავშირი ჩვენს სახელმწიფოდ არ მიგვაჩნდა. არ შეიძლება, ეს, ზოგადად, ნიჰილიზმში გადაგვეზარდოს. **თუ ვინმეს ჰგონია, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე განვვითარდებით, ეს მტკნარი სიცრუეა.** სახელმწიფოს მთავარი როლის გარეშე არცერთი თანამედროვე ქვეყანა წინ არ წასულა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ყველანი სახელმწიფოს აქტიური მაორგანიზებელი როლის პირობებში განვითარდნენ. სახელმწიფო არის ლოკომოტივი. რიგი ქვეყნების ლიდერებმა და არა ცალკეულმა ჯგუფებმა ან პარტიებმა სახელმწიფო ჩამოაყალიბეს როგორც ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომელიც მოწოდებულია იმისთვის, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარების პირობები შექმნას. ცხადია, ეს შენს შესაძლებლობებს, პოტენციალს უნდა დაეყრდნოს, რაც საბედნიეროდ, გვაქვს. ახალგაზრდობას, საშუალო თაობას, ჩემი ხნის ადამიანებს მინდა ვუთხრა: ცალ-ცალკე, ამ მდგომარეობიდან, ვერ გამოვალთ. ამას მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ. საბედნიეროდ, არც სხვაზე უარესი მდგომარეობა გვაქვს და არც ნაკლები პოტენციალი. მთავარია, შექმნილ ვითარებაში, ადამიანებმა ირწმუნონ საკუთარი თავისა და ქვეყნის, დაიჯერონ, რომ მხოლოდ ენთუზიაზმით ვერც იცხოვრებენ და ვერც იმუშავებენ. ადამიანის ინტელექტუალური და ყველა სხვა დანარჩენი პოტენციალის უაღრესად ინტენსიური დახარჯვის გარეშე, განვითარება არ მოხდება. თუ ხელი ჩავიქნიეთ და ვიფიქრეთ, რომ სოციალური დახმარება ცოტათი თუ გაიზრდება, საქმე კარგად წავა, ასე არ მოხდება. პირიქით, ჩვენი ჩამორჩენა გაიზრდება და შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ მერე, უკვე, განვითარების შესაძლებლობები შეგვეზღუდოს. დღეს, ჯერ კიდევ გვაქვს ამის შესაძლებლობა, რაც შეიძლება თანდათანობით შემცირდეს. ეს კომპლექსური თემაა და საჭიროა უფრო კონკრეტულად ვილაპარაკოთ გარკვეულ მიმართულებებზე.

**— თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მძლავრი მიმართულება — ლიბერალური მსოფლმხედველობა, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციას ძალიან დავიწროებულ ფორმებში ხედავს და მისი ერთ-ერთი ფრთა, საერთოდ, სახელმწიფოს არასაჭიროდ მიიჩნევს. საქართველოში, ამ ლიბერალუ-**





**რი პოზიციების გამოძახილი, ძალიან მკვეთრად და ნათლად იკვეთება-ხოლმე...**

— ისტორიას ვერ შეცვლი — როგორც იყო, ისე რჩება. საბჭოთა კავშირი ცუდ დროს დაიშალა. მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ: — 70-იან წლებში ევროპასა და ზოგადად, მსოფლიოში იმ წესრიგის კრიზისი იყო, რაც მანამდე არსებობდა. ამ პერიოდს „დიდებულ ოცდაათს“ უწოდებდნენ, როდესაც მოთხოვნაზე ორიენტირებული, ფოკუსირებული ეკონომიკა იყო გაბატონებული და არა მიწოდებაზე ფოკუსირებული წესრიგი. ეს ყველაზე უფრო მკაფიოდ, რუზველტის დროს, ამერიკაში დაიწყო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში. ბევრი ისეთი რამ კეთდებოდა, რაც ერთი შეხედვით ზოგიერთ ვითომ თანამედროვე პოზიციებზე მდგომ ჩვენს „ინტელექტუალებსა და ექსპერტებს“ საბჭოთა მოდელად მიაჩნიათ. მაგალითად, ეკონომიკაში პრიორიტეტების წარმოჩენა, სახელმწიფოს ორგანიზაციული როლი და ა.შ. ეს პერიოდი, აბსოლუტურად, ამოვარდნილია, ჩვენ, ამის შესახებ არ ვიცით და პირდაპირ 80-იან წლებში გადავხტით. ნეოლიბერალური იდეოლოგიის რადიკალურზე რადიკალური ვერსია გავრცელებულია პოსტ.საბჭოთა ქვეყნებში, ხოლო ამის კიდევ უფრო რადიკალური ვერსია საქართველოშია გავრცელებული. სამწუხაროდ, უვიცობაში პირველები ვართ. გლობალიზაციის ეს ვერსია ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მოამზადეს. იგი თანდათან გაბატონდა, რასაც დიდი პოლიტიკური ძალა ტეტჩერმა და რეიგანმა შესძინეს. ტეტჩერი ამბობდა: საზოგადოება — ასეთი რამ არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ინდივიდები. რეიგანის თქმით კი: სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ცუდი, თვითონ სახელმწიფო არის სიცუდე. პოლონეთს 90-იანი წლების დასაწყისში დასავლეთელი ექსპერტები ეუბნებოდნენ: ისე გააკეთეთ, როგორც ჩვენ გეუბნებით და არა ისე, როგორც ჩვენ ვაკეთებთო. პოლონეთში სახელმწიფო ინსტიტუტები ძლიერი იყო, ამიტომ, ამ იდეის განხორციელება ვერ შეძლეს. ჩვენთან კი სახელმწიფო ინსტიტუტები იყო ძალიან სუსტი, დელეგიტიმირებული, ხალხის დამოკიდებულება კი უარყოფითი არამხოლოდ აქ, არამედ რუსეთშიც. დაიწყო რადიკალური პრივატიზება.

**— პრივატიზებამდეც საკმაოდ ბევრი რამ გავაფუჭეთ.**

— დიახ, რა თქმა უნდა, სირთულეები იყო. აღნიშნული დამოკიდებულება ამ გზას არყევდა. ეს ჩვენი ისტორიაა და ისე უნდა გავიგოთ როგორც იყო. ახლა, ამის შეფასება და დამნაშავეების ძებნა, ჩვენი ამოცანა არ უნდა იყოს, არამედ „გაკვეთილების სწავლა“. მაკიაველის გამონათქვამს შეგახსენებთ: ბევრად ადვილია იმას ასწავლო, ვინც მემკვიდრეობით მმართველია, ვიდრე კარგი მმართველობა ისწავლოს მან, ვინც სახელმწიფოს მმართველობას თავიდან ქმნის. ჩვენ თავიდან შევქმენით, რაც სერიოზული პრობლემა იყო. ჩვენ იმ პერიოდში დავიწყეთ ამის შექმნა, როდესაც



სახელმწიფო, ზოგადად, დელეგიტიმირებული გახლდათ. ჩვენი პატრიოტიზმი, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, ხშირ შემთხვევაში, კულტურული ნაციონალიზმის ფორმას უფრო ატარებს, ვიდრე სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმისას.

**— საზოგადოების მხრიდან ერთ უცნაურ გამოხატულებაზე მინდა გკითხოთ: ხშირად გაიგონებთ საყვედურს — რა მოგვცა ბიძინა ივანიშვილმაო. ისინი მეს აყენებენ წინ და საკუთარ თავს სახელმწიფოსთან არ აიგივებენ, თავს მოქალაქეებად არ თვლიან. ეს რა სენია?**

— გეთანხმებით, შევეცდები ავხსნა რასთან გვაქვს საქმე: გაბატონდა რადიკალური ინდივიდუალიზმი, რომ ყველა თავისუფალია. ადამიანებში ეს თანდათან გაჯდა. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის პერიოდში ადამიანებს შეზღუდვები ჰქონდათ. 12 წლის ვიყავი, როდესაც ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა“ წავიკითხე და მას მერე, ჩემთვის, ეს იდეები უცხო არ არის. თუმცა, ინდივიდუალიზმის გაბატონებასთან ერთად სახელმწიფოს მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება დარჩა. ანუ, მოსაზრება — მე უნდა ვიყო თავისუფალი მომძლავრდა და ადამიანებს სახელმწიფოს, ერთმანეთის წინაშე ვალდებულებები გაუქრათ, ნდობამ დაიწია, მთავარი — ინდივიდუალური წარმატება გახდა, რაც ნორმალურია. მაგრამ ხალხმა ერთი რამ უნდა იცოდეს: საზოგადოებაში ცხოვრების პირობებში შეუძლებელია, ყოველივე, ცალკეულმა ადამიანებმა გააკეთონ. თუ თვითონ საზოგადოება განვითარებული არ არის, მარტო მე, ვერ განვვითარდები. სახელმწიფოს მიმართ ნიჰილიზმის, ნეგატიური მიდგომის პირობებში, მომხმარებლური დამოკიდებულებაც დარჩა. აქ, ასეა გაგებული — სახელმწიფომ მე, რაღაც უნდა გამიკეთოს. ამას კი იქამდე მივყავართ, რომ ბოლოზოლო სოციალური დახმარება ადამიანებისთვის მიზნად რჩება — მათ საკუთარი თავის განვითარებაზე მუშაობას თავი დაანებეს. ცხადია, ეს მიდგომა საყოველთაო არ არის, მაგრამ მეტ-ნაკლებად ეს დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ამის დასაძლევად ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს გარდა იმისა, რომ რადიკალური, რევოლუციური ცვლილებები განვახორციელოთ. დღესაც გვეუბნებიან: მცირე მთავრობა უნდა გვქონდეს, იგი ეკონომიკაში არ უნდა ჩაერიოს. ეს ნონსესია. ასე ქვეყანა ვერ განვითარდება. ყველა ქვეყნის განვითარებაში სახელმწიფომ უდიდესი როლი შეასრულა. დღეს, ჩვენ, ძალიან ბევრ პრობლემაზე ვლაპარაკობთ: ადამიანის, სექსუალური უმცირესობების, საარჩევნო, პოლიტიკური, სასამართლოს უფლებებზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველა ეს პრობლემა მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი გადაწყვეტის გზა შიგნით, ვიწრო სფეროებში არ არის. ამის გადაწყვეტის გზა ჩვენს ზოგად განვითარებაშია, მათ შორის, პირველ რიგში, ეკონომიკის განვითარებაში. თუ ჩვენ არ განვავითარებთ ეკონომიკას, სადაც ადამიანები თავის თავს პოულობენ, ისე არაფერი გამოვა. მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ დასაქმების კუთხით ვითარება გაუმჯობესდა. თავი დავანებოთ 12–13%-იან ციფრს, რომელიც დაიწია და კიდევ უფრო დაბალია. ამ ციფრს შესაძლოა ისიც ქმნიდეს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნიდან გადის. თანაც, სწორედ ის ადამიანები გადიან, ვინც აქ, უმუშევარი იყო. სრულ და ეფექტურ დასაქმებაზე თუ ვისაუბრებთ, ასეთი რამ საქართველოში ძალიან ცოტაა, ალბათ, 30–40%. ადამიანების 60% რეალურად, დე-ფაქტო დასაქმებულნი არ არიან. ჩვენთან თვითდასაქმებული ადამიანები ძალიან ბევრია, მათგან უდიდესი ნაწილი რეგიონებში ცხოვრობს, რომელთაც მიწის მცირე ნაკვეთები აქვთ. 70%-ზე მეტს, ვინც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს ფლობს, ერთ ჰექტარზე ნაკლები მიწის ფართობი აქვს, 28%-ს — ერთიდან ხუთ ჰექტრამდე, 5 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი აქვს მხოლოდ ერთნახევარ პროცენტს. 70% რომელიც ზემოთ ვახსენე, ითვლება, რომ თვითდასაქმებულია და ნატურალური მეურნეობის პირობებში ცხოვრობს. ანუ, ისინი კომერციულ სოფლის მეურნეობას კი არ ეწევიან, არამედ უმეტესწილად თავად მოიხმარენ.

**— გაჟღერდა ინიციატივა, რომ ადამიანი, რომელიც მიწას არაკომერციული საქმიანობისთვის, არამედ პირადი სარგებლობისთვის იყენებს, დასაქმებულად ვერ ჩაითვლება.**

— შრომის ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და ექსპერტების მოსაზრებით უმუშევრობის აღწერის კრიტერიუმები უნდა შეიცვალოს. ისეთი კრიტერიუმები უნდა იყოს შემოღებული, რომელიც რეალურ, მეტ-ნაკლებად ღირსეულ დასაქმებას შეუწყობს ხელს და ადამიანებს ცხოვრებას გაუუმჯობესებს. ამ შემთხვევაში, არ ვსაუბრობ განსაკუთრებით კარგ, არამედ ნორმალურ ცხოვრებაზე, რა თქმა უნდა, ღირსეულ პირობებში. აქვე გეტყვით, რომ ჩვენს პარტიას შემთხვევით არ ჰქვია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“. დიახ, მთავარ ამოცანად სწორედ განვითარება მიგვაჩნია. ცხადია, პირველ რიგში, განვითარება სოფლის მეურნეობით უნდა დავიწყოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

**(გაგრძელება იქნება)**



# საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის განცხადება

ლგბტ ჯგუფები და მათი მფარველები პირდაპირ ებრძვიან ერის ინტერესებს. ისინი ცვლიან ერის ისტორიულ ფსიქოლოგიას და გენეტიკურ კოდს.

მათი არაბუნებრივი, ავადმყოფური გადახრების წესად ქცევა — კანონით დაცვა და მხარდაჭერა დანაშაულია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

ისინი იწვევენ დაძაბულობას და აგრესიას ქვეყანაში და ისედაც რთულ ვითარებას უფრო ართულებენ.

ქართული სახელმწიფოს ნგრევის და დაშლის მაპროვოცირებელი ძალები აქეზებენ მათ და უნთებენ წითელ შუქს.

მათი სატანისტური ქცევა და გამოწვევა საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა და ვაკჰანალია არ ისჯება, ხოლო საზოგადოების რეაქცია და პროტესტი დანაშაულად ცხადდება.

ლიბერალური ტელევიზიები, ლგბტ ჯგუფების ქომაგი და თვითონაც ზნეობრივად გადახრილი ჟურნალისტები, ოპოზიციური, ევროპულად წოდებული (სახელმირქმეული) ნაცები აქეზებენ მათ ღია ეთერებიდან და პატრიოტი, მართლმორწმუნე საზოგადოების დასჯას მოითხოვენ.

ჩვენ, მწერალთა ეროვნული აკადემია კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან ლგბტ და სხვა ანომალურ სექტათა მიტინგების აკრძალვას და მათი მხრიდან უზნეობის დემონსტრირების შეჩერებას.

საქართველოს დედაქალაქის სოდომ-გომორად ქცევის მცდელობა უდიდესი მკრეხელობა და დანაშაულია.

მოვითხოვთ საკანონმდებლო ხელისუფ-



ლებისგან ამ უზნეობათა წინააღმდეგ სათანადო კანონების ამოქმედებას და ერისთვის და სახელმწიფოსთვის ხიფათის არიდებას.

მივმართავთ უცხო ქვეყნების, კერძოდ, ამერიკის, ევროპის და სხვა ქვეყნების ელჩებს და საკონსულოებს — რა გნებავთ თქვენ, რა ტიპის ექსპერიმენტს ატარებთ ქართულ ისტორიულ რასაზე, მისი გენეტიკური კოდის და ცნობიერების შესაცვლელად?!

შევახსენებთ ამერიკის საელჩოს, რომ თვით ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი უპირისპირდება ლგბტ ტიპის სექტანტურ ანომალიებს.

ამ თქვენი ზნეობრივი ძალადობით გამოიწვევთ (და უკვე იწვევთ) ერის საყოველთაო მრისხანებას, რომელიც მხოლოდ ჩვენი მტრის წისქვილზე (ინტერესებზე) დაასხამს წყალს.

აგვარიდეთ ამ ხიფათს და ნუ უპირისპირდებით ერის ინტერესებს.

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**

# სამი ყვარყვარე არსაიდან

ჩვენ მომსწრენი ვართ რაღაცნაირი დროისა – იკლიკანტურისა, მიღრეცილისა, მოღრეცილისა, აყირავებულისა, დაყირავებულისა, გაუკუღმართებულისა. დღეს, ჯერაც გაუბრწყინებელ გურჯისტანში, ინდაურები ადვოკატობენ, ბატები მეცნიერობენ, ავაზაკნი მორალისტობენ, კრეტინნი პოლიტიკოსობენ, ბოზები პატიოსნობენ, ხოლო პატიოსნები ყვერებს იფხანენ. ვუყურებთ იმანოთა ოინებს, ყველაფერს რომ კადრულობენ და თვალებს არ ვუჯერებთ. აი, მაგალითად, ამას წინებზე საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, მანამდე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, მანამდე კიდევ ნაპროკურორალი ირაკლი ოქრუაშვილი ტელევიზორში იჯდა და იძახდა, ჩემნაირ ადამიანს მორალური უფლება არ აქვს პოლიტიკაში ყოფნის, მაგრამ ირგვლივ რომ მიმოვიხედავ ხოლმე და პოლიტიკურ სპექტრს თვალს გადავავლებ, ან ყველა ჩემნაირია ან ჩემზე უარესიო. მოდით, დავაზუსტოთ: ადამიანი, რომელსაც ბოლმა მუდამ ყელში აქვს გაჩხერილი, გასაგებად ამბობს, ყველა ან ჩემნაირი ნაძირალაა, ან კიდევ უარესიო. ეს არის ერთადერთი სიმართლე, რაც კი მას ცხოვრებაში წამოსცდენია. ეგეც კარგია, რომ უგრძვნია და აღიარებს, მაგრამ რათ გინდა? ტიპი ისეა მადაზე მოსული, ბებიაჩემის თქმისა არ იყოს, „სვინდისი“, რომელიც არც ადრე აწუხებდა, მთლად გაჰქრობია. სანამ მის უნამუსობათა კრებულს შემოგთავაზებთ, მანამდე შეგახსენებთ, რომ ამას, ამ ირაკლიდ წოდებულს განზრახვა გასჩენია, გუბაზ სანიკიძესთან, ვალერი გელბახიანთან, კოტე კემულარიასთან და მათნაირებთან ერთად პარტიას შევქმნი, „გამარჯვებულ საქართველოს“ დავარქმევ და აცე, ვირო, მომავალ გაზაფხულზე იონჯაც ამოვაო, ანუ ხალხს დავაბოლებ, ერისკაცობას მივაწვები და რაც გამოვა, გამოვაო. არა, კი ჩასძახის თავისი მეორე „მე“ ირაკლის, ბებიაშენის მუთაქებს ნუ თელავ, ორი კაცის გამომყვანიც არ ხარ ქუჩაში, ნახმარი პრეზერვატივივით ტყუილად იწელები, თუ ეგრე



გააგრძელებ, ნაღდად გაიხევიო, მაგრამ უკვე ისე ეფხანება თავი შიგნიდან, არაფრის გაგონება აღარ უნდა. მოდით, ახლა ძალიან მოკლედ გაგახსენებთ იმას, რაც თქვენს თვალწინ მოხდა და შეიძლება ჩემზე უკეთესადაც კი იცით: ტყვიაველი ოქრუაშვილი ერთი ქენქერა ადამიანია, რომელმაც მოიგდო თუ არა მაღალი თანამდებობები, ეგრევე შეიყო თითები ერთ ადგილას და ძაან მაგრად გაუბერა – თავს დაესხა ე.წ. ბორდელებს, „ტრუსიკ-მაიკიანი“ ხალხი ქუჩაში გამოყარა და ფულებიც აახია. ქუთაისელ ბონდო შალიკიანს ღამით ოჯახში სპეცრაზმი მიუქსია, ესეც „ტრუსიკ-მაიკის“ ამარა ქუჩაში გამოათრია და ეს ყველაფერი მის ცოლ-შვილს აყურებინა. მერე ეს ბონდო წაათრია და მთელი ქონება ე.წ. სახელმწიფოზე გადააფორმებინა. აღარაფერს ვამბობ ათასობით, ასი ათასობით გაუბედურებულ ოჯახზე, ყველაფერი რომ წაართვეს, დააპატიმრეს და საპროცესოები უფორმეს. მიდიოდა და მიდიოდა ფული სპეციალურად შექმნილ რამდენიმე ე.წ. ფონდში, მათ შორის ოქრუაშვილის სკივრში. ვერ მოისვენა ამ უჯიშომ და გაიძვერა სააკაშვილთან ერთად ცხინვალის აღება გადაწყვიტა. ამათ იფიქრეს, როგორც ასლან აბაშიძე გავაქციეთ, კოკოითსაც ასევე გავაქცევთო (განსხვავება ვერ დაინახეს), შედეგად კი მივიღეთ 40 დატყვევებულ-დაჩოქილი და 20 დაღუპული ჯარისკაცი!



შემდეგ იყო მიხეილ სააკაშვილთან გაყრა, ვითომ ჩხუბი, კრიტიკა, ლანძღვა, გინება. მაშინ პრეზიდენტად წოდებულმა ტყვიაველ გოიმს ეპოლეტები აჰყარა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გაწირა – ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. ეს როგორ მაკადრესო? სად პროკურორობა, სად შინაგან საქმეთა ან თავდაცვის მინისტრობა და სად კიდევ მთავრობის „ზავხოზობაო“? გამოვარდა ირაკლი, მოიგდო მხარზე ენა და გადავიდა დაუკრეფავში – ისაო, ესაო, მიშა მკვლელია, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა დამიკვეთესო, ამას აკეთებდა, იმას აკეთებდაო, მე მინდა, მას თვალებში ჩავხედო და ისე ველაპარაკოო. დაიჭირა მიშამ, ჩააზედინა გაავებულ თვალებში და ეგრევე ჩაიფსა ირაკლიმ. მეორე დღეს კი... ეეეჰ, რაც ჩაიდინა, ყველას მოგეხსენებათ – ჩამოჯდა ტელევიზორში, სპორტულები ეცვა, თავი ჩაექინდრა, თვალებით თავის იმას დასჩერებოდა და წყალში გაკუებულივით ბუყბუყებდა, რომ რაც საზოგადოებას მოახსენა, ყველაფერი თვითონ მოიგონა, ყველაფერი იყო სისულელე და ყალბი... რომ შეცდა, ვერ მოზომა, ასე არ უნდა მოქცეულიყო, თავი ვერ შეიკავა... ბოდიში, ჩემო მეგობარო მიხავ, სულში ეშმაკი ჩამისახლდა, იმან მაცდუნა, თორემ შენ ამას არ იმსახურებდიო. გული მოულბა მიშას, გაახსენდა, როგორ იბრძოდნენ მხარდამხარ შევარდნაძის დამპალი ხელისუფლების წინააღმდეგ, რამდენი ოფლი ღვარეს, რამდენი სიმწარე გადაიტანეს. ჰოდა, ვერ გადაუსვა ყველაფერს ხაზი სააკაშვილმა და ტყვიაველ გომს შეუთვალა, რაც რამ გიშოვ-



ნია, რაც რამ მოგინაგრებია, წაიღე და წადი, ამიერიდან თვალით აღარ დამენახვოო. აიღო ირაკლიმ რაც რამ გააჩნდა თავისი სიღარიბისა, სულ რაღაც 150 მილიონი დოლარი, ჩაიცვა საგარეოები, ყოველი შემთხვევისთვის სპორტულებიც გაიყოლა და გაფრინდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში... უფრო სწორად, გააფრინეს.

გადიოდა დრო... იჯდა ირაკლი საფრანგეთში და პერიოდულად იძლეოდა ინტერვიუებს ხან ქართულად, ხან რუსულად, ხან ქართული არხებისთვის, ხან რუსული არხებისთვის. იცით, ამ სტატიაში რამოდენიმეჯერ მომიწევს მისი სიტყვების გამეორება: „ჩემნაირ ადამიანს მორალური უფლება არ აქვს პოლიტიკაში ყოფნის, მაგრამ ირგვლივ რომ მიმოვიხედავ ხოლმე და პოლიტიკურ სპექტრს თვალს გადავავლებ, ან ყველა ჩემნაირია ან ჩემზე უარესი“. ჰოდა, ერთმა მაგაზე უარესმა, მაგრამ მაგაზე მაინც ჭკვიანმა გიგა ბოკერიამ ეგრევე წამოაძახა:

„ჩემი თანაგუნდელი ვერ იქნება ის, ვინც დადის მოსკოვში, ვინც მეგობრობს უშიშროების ყოფილ მინისტრ ხაბურძანიასთან, „ეფესბეს“ ოფიციალურ რეზიდენტთან, ერთად იყვნენ იქ, ჩვენ მოსმენილი გვაქვს მათი დიალოგი საჯაროდ. ის გამოდიოდა ოფიციალურად რუსული პროპაგანდის ორგანოებში კვიციანთან ერთად. აი ეგეთი კაცია და ჩვენ მასთან არ ვთანამშრომლობთ და არც ის არ მოელის ჩვენგან თანამშრომლობას, წითელი ძალების მიღმა მყოფ ძალებთან არ შეიძლება შეკვრა მარტო იმიტომ, რომ მთავრობა ძალიან ცუდია“.

უკვე გითხარით, გიგა ბოკერია ირაკლი ოქრუაშვილზე გაიძვერაა. „უსვინდისოდ“ აცხადებს, მაგასთან, მაგ რუსეთში ნათრევ არამზადასთან არ ვითანამშრომლებთო, გეგონება ცოტა ხნის წინ არ თანამშრომლობდნენ და ერთობლივად არ შეუტიეს საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილს. დიახ, გაიხსენეთ, მას შემდეგ, რაც ე.წ. „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა დავით ბაქრაძემ ბატის ჭუკივით გაასხა, ეგრევე გრიგოლ ვაშაძის მხარეს გადავიდნენ, სადაც ასევე გახლდათ ჩაცუცქული ირაკლი ოქრუაშვილი. კი, მაგრამ მაშინ რატომ არ ყვიროდა ბოკერია, ეს რუსეთუმე არ გვჭირდება, გააგდეთო?!



დედულ-მამულზე ატირებული ტყვიაველი ბიჭი რომ უტრაკო ავანტიურისტია, 2011 წლის მოვლენების დროსაც დადასტურდა, როცა ცხინვალის მხრიდან „ზილით“ უნდა შემოეტია სააკაშვილის რეჟიმისთვის და შიდა ქართლში აჯანყება მოეწყო. სამწუხაროდ, მაშინ ბევრი წამოეგო ამ ბრიყვის ანკესზე და ბევრი ჩაჯდა ციხეში არაფრის გამო. დიახ, გაიხსენეთ, რა მოხდა ყინწვისში, როგორ წაიჭირეს ბიჭები და როგორ გაიწირნენ წამებისთვის. „ზილი“ არა, იხვის ტოლმა, რომელი ჩამომსვლელი და გამჩმახებელი ირაკლი იყო? ის მხოლოდ მაშინ ჩამობრძანდა საქართველოში, როცა მიხოს რეჟიმი გადააშენა ბიძინა ივანიშვილმა და ქვეყნის კარი გააღო. მე პირადად მეგონა, ეს ბრიყვთა ბრიყვი გონს მოეგებოდა, მადლობას მაინც იტყოდა და თავისთვის წყნარად დაეგდებოდა, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ? თურმე საქართველოში უმადურობას და „უსვინდისობას“ არ აქვს საზღვრები. აი, ნახეთ ფაქტი... ნახეთ, რას აცხადებს ყელში ბოღმაგაჩრილი არსება „პალიტრა ნიუსის“ ეთერში:

„რომ ამბობენ ჩემზე, ქონება დავუბრუნეთ, საშუალება მივეცით, იცხოვროს ქვეყანაში და დავაბრუნეთო... დამაბრუნეს რა, თვითმფრინავი გამომიგზავნეს, ბილეთი ამიღეს თუ წითელი ხალიჩა დამახვედრეს? რა ქონება დამიბრუნეს? სასამართლოთი დავიბრუნე 2013 წელს ერთი ქონება, მეორე ქონება ოთხი წელი მახვეწნინეს და ათმაგ ფასად მომყიდეს აუქციონზე. ჩამოვედი ჩემით, ჩემი რისკით და სანამ სასამართლო თავისუფალი იყო წნეხისგან, დავიბრუნე ყველაფერი“.

თქვენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველებო და... მე ახლა ხმამაღლა ვხარხარებ... შეიძლება, ადამიანი ამ დონემდე გაბრიყვდე? შეიძლება, ადამიანი ამ დონემდე დაეცე? პრინციპში, ვერ უყურებთ? თურმე ტყვიაველ ირაკლასთვის ბიძინა ივანიშვილს ბილეთი უნდა აეღო... არა, არა, თურმე სპეცრეისი უნდა დაენიშნა მისი აღმატებულების ჩამოსაბრძანებლად და სოლოლაკის აღმართზე წითელი ხალიჩაც გაეფინა. როცა დაიწვენებდა, რომელიმე დიდი თანამდებობა შეეთავაზებინა – შინაგან მინისტრის სავარძელი, ან თავდაცვის მინისტრის სავარძელი, ან სულაც მთავარი პროკურორობა. აბა, როგორ, მას ხომ ლომის წვლილი მიუძღვის სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟში? ა, ბატონებო, ნახეთ, როგორი პრეტენზიები აქვს:

„მე ჩემი წვლილი იმ ხელისუფლების წინააღმდეგ შევიტანე და ძალიან გთხოვთ, ჩემო კარგებო, ნუ მაძახებთ რაღაც სისულელეებს. თქვენ რომ მანდ ზიხართ, ჩემი დამსახურებაც არის და არა მარტო ჩემი, ძალიან ბევრი სხვა ადამიანის“.

კიდევ კარგი, სხვა ადამია-



ნებსაც ახსენებს, თორემ გულმავიწყებს ეგონებოდათ, რომ 2012-ში „ნაციონალებს“ ირაკლამ მოუთავა ხელი. ოღონდ, იცოდეთ, იმ სხვებში ბიძინა ივანიშვილი არ შედის... აი, ბიძინა იჯდა სახლში, ოქრუაშვილი იბრძოდა, საკუთარ სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებდა, „ზილით“ ქვეყნისკენ მოისწრაფვოდა და როგორც კი საწადელს მიაღწია, იგივე ბიძინა გამოვარდა, დაასტუკა და დაიძახა, ყველას დაგასწარითო. არაო, კაცო, არაოოოო... მე ჩემით ჩამოვედი, ქონებაც თვითონ დავიბრუნე და ყველაფერი მანამდე გავაკეთე, სანამ სასამართლო თავისუფალი იყოო... ეხლა სასამართლო თავისუფალი აღარ არი, მე მოვასწარი ჩემი რისკის ფასად, თორემ ცოტა რომ დამეგვიანა, ჩემი ფეხები, ვერც ვერაფერს გავაკეთებდიო. მაპატიეთ, მაგრამ მე ისევ ვხარხარებ, საიდან ამდენი სიყალბე და გაიძვერობა ერთ ადამიანში? არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი!

ეს კიდევ არაფერი, ეს ჯერ კიდევ ჟურნალია ოქრუაშვილის თავში და როგორც თავადვე აცხადებს, კინო აწი იქნება. მოკლედ, მას შემდეგ, რაც ტყვიაველმა გოიმმა ახალი ხელისუფლებისგან ხეირი ვერ ნახა, ანუ შიდა ქართლში გავლენა ვერ მოიპოვა, ვერც პარლამენტში მოხვდა და ვერც რამე ისეთი თანამდებობა დაითრია, გადაწყვიტა, ბიძინა ივანიშვილი მოაშოროს ამ ქვეყანას გუბაზ სანიკიძესთან, ვალერი გელბახიანთან და კოტე კემულარიასთან ერთად. ისე, ყველაფერი გასაგებია, ბიჭებს ფული უნდათ და ამიტომაც ატრაკებენ ქართველი ხალხის სახელით, მაგრამ ეს ნაფტალინწაყრილი კოტე საიდანღა ამოთხარეს? თან იძახიან, ახალი სახეებიო, ახალგაზრდებიო, მომავალი თაობაო.

რა ოხრობა უნდა ოქრუაშვილს ბიძინა ივანიშვილისგან, რომელიც სააკაშვილმა „კაპეზეში“ შეაგდო და ეგრევე ჩაიფსა? რატომ ეპატარავება ახლა ივანიშვილი თვალში? ჩემი ვერსიით, ბატონი ბიძინა იქამდე არასოდეს დაეშვება, რომ ოქრუაშვილს თავი გაუყადროს და პოლემიკა გაუმართოს, ის გაბრიყვებულ კაცმაცუნას არაფრად აგდებს და ამიტომაც ეს სარგებლობს, ხალხს აბოლებს, ოლიგარქს ვებრძვი, შემომხედეთ, რა მაგარი ბიჭი გახლავართო. მისი დავთრების მიხედვით, ივანიშვილმა ქვეყანა ჭაობს დაამსგავსა:

„ქვეყანა დაემსგავსა ერთ დიდ ჭაობს, ძალიან რომ გავამარტივოთ... დაახლოებით ისე, როგორც „ლაგუნა ვერე“, რომელიც ივანიშვილის საკუთრებაშია და ყველა თბილისელისთვის იყო ძალიან კარგი დასასვენებელი ადგილი, დღეს აღარ არის. დაჭაობებულია, ის შეგნებულად აჭაობებს იმ აუზს. ქვეყანა არის იმ აუზის ანალოგია. ჩვენ, თითოეული ჩვენგანი დავემსგავსეთ ამ აუზის თანამშრომლებს, რომლებიც უხელფასო შვებულებაში გაუშვეს. არც აუზს აკეთებენ, არც ხელფასს გვიხდიან, ასე უნდა ამ ადამიანს ქვეყანა მართოს. ჩვენი ხალხი ვერ იტანს უტიფრობას, მას რომ ჰქონოდა ქართული ხასიათი, ქართველებისათვის მისაღები მმართველის როლი მორგებული, მისი შვილები სხვის შვილებთან ერთად წასულიყვნენ ჯარში და ტალახში ეთხარათ სანგარი, ქვეყნის სადარაჯოზე სადმე... მის მეუღლეს, რომელიც არის ძალიან პოზიტივის მქონე ქალბატონი და სანდომიანი, ბევრი კარგი მსმენია, მოხუცებულთა თავშესაფარში ჩვენ რომ გვენახა რამდენჯერმე საჭმელი გაუკეთებია მოხუცებულებისთვის, ივანიშვილს სადმე ყოველგვარი გამოწკეპილობის და ფორმალობების, თითქოს ეკლესიებზე მზრუნველი გახდა. ამ ბოლო დროს ასე შემოეჩვია ეკლესიების გახსნას, ეტყობა, საპატრიარქოდან ცნობის აღება უნდა, რომ მორწმუნეა, ცოტა უფრო მისაღები ფორმით გაშინაურებულიყო ჩვენს ხალხს, გაცილებით უფრო ადვილად მიიღებდა და უფრო ბევრი რამეს აპატიებდა ჩვენი ხალხი“.

ბატონებო და ქალბატონებო, უკაცრავად, მაგრამ მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ირაკლი ოქრუაშვილი სახლში პაპიროსს შლის, აწყობს, შლის, აწყობს, მერე მიდის „ჭუტა პირველის“ ან „პალიტრის“ ეთერში და თავს იფხანს შიგნიდან. საერთოდ, ძველ ქართველებს აქვთ



ნათქვამი, ისეთმა ფურმა ჩაგვწიხლოს, ჩვენზე მეტს რომ იწველიდესო. მეტს იწველიდეს კი არა, ისეთი ყვარყვარეები ედავებიან ბიძინა ივანიშვილს, ცხოვრებაში ერთი ხე რომ არ დაურგავთ, ერთ ადამიანს რომ არ დახმარებიან, ერთი აგური მეორეზე რომ არ დაუდვიათ, ხელი რომ არავისთვის გაუწვდიათ. აღარაფერს ვამბობ 500-ზე მეტი ეკლესია-მონასტრის აღდგენაზე, 800-ზე მეტი სკოლის რემონტზე, დაგებულ გზებზე, თეატრებისა და მუზეუმების რესტავრაცია-რემონტზე, ასი ათასობით გადარჩენილ



ადამიანზე და ასე შემდეგ. რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

მოდით, მეგობრებო, მოდით, ჩამიდექით ჯიბრში, მეკამათეთ, ოღონდ ერთ შეკითხვას დაგისვამთ და მიპასუხეთ: თქვენ შეგიძლიათ, სადმე ირაკლი ოქრუაშვილის, გუბაზ სანიკიძის, ან ვალერი გელბახიანის მიერ დარგული ერთი ხე მაჩვენოთ? აბა, კარგად დაფიქრდით, ნუ იჩქარებთ, მეხსიერება დაძაბეთ, გაზეთის მომდევნო ნომერი ერთ კვირაში გამოვა, საკმაო დრო გაქვთ, თუ გნებავთ, დამირეკეთ, თუ გნებავთ – მომწერეთ, ოღონდ მითხარით, სადმე ამათ მიერ ერთი ხე დარგული, ერთი აგური დადებული, ერთი ადამიანი გადარჩენილი გინახავთ? ან ამათი შვილები გინახავთ, სადმე სანგრებს რომ თხრიდნენ? ან ამათი ცოლები გინახავთ, ვინმეს სადმე, რომელიმე თავშესაფარში საჭმელს რომ უკეთებდნენ? ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო, ეგეთი ვირგლობა და ვირეშმაკობა გაგონილა? ბიძინა ივანიშვილი ეკლესიების გახსნას მიეჩვია, ეტყობა, საპატრიარქოდან ცნობა უნდა, რომ მორწმუნეაო, ამბობს ყვარყვარეთა შორის ყვარყვარე. ჯერ ერთი, ივანიშვილს რომ მხოლოდ ცნობა უნდოდეს, არც მისი აღება გაუჭირდებოდა, მილიონებს არ დახარჯავდა და მეორეც – როცა ის ეკლესია-მონასტრებს აშენებდა, ოქრუაშვილი ჯერ აკვანში იყო ჩაკრული, შემდეგ კი ტყვიავის ერთ-ერთ ბნელ ორღობეში ანძრევდა.

ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, ბიძინა ივანიშვილს ცხოვრება უნდა გავურთულოთო. ა, კიდო ვხარხარებ! მაგას, ბიჭო, მიშამ რომ ჩაგაფსმევინა, იმან ვერ გაურთულა ცხოვრება, შენ, ვალერა და გუბაზა ვის დაჰკარგვიხართ?! სხვათა შორის, ეს გელბახიანიც კაი უმადური აღმოჩნდა, თუმცა ამას წინებზე „ჭუტა პირველის“ ეთერში ვუსმინე და ცოტა შეფიქრიანებული მეჩვენა – მეო, ქვეყანაში არეულობა და სიტუაციის დაძაბვა არ მაწყობსო, არ მინდაო, ჩვენი ბედი ხალხმა უნდა გადაწყვიტოსო. ვაჰმე, არეულობის ტრაკი სად გაქვთ, თორემ ისე გინდათ, როგორც დაგიბარებიათ. სიტუაციის დაძაბვა კი არა, 100-კაციან აქციას ვერ მოაწყობთ ნებისმიერ ადგილზე. დიახ, ხალხმა ამათი ბედი უკვე გადაწყვიტა... უფრო სწორად, თვითონ გადაწყვიტეს, პოლიტიკურ სანაგვეზე მოგვისროლეთ, დაგვმარხეთო და ხალხმაც თქვა, „პაჟალუსტაო“. ბატონმა ვალერიმაც კაი ხანს ირბინა ევროპა-რუსეთში მიხეილ სააკაშვილის ეპოქაში, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ეგეც სად იქნებოდა დღეს, არავინ იცის. ჩამოვიდა კაცი შეშინებული, მიიხედ-მოიხედა, ცოტა მოიკეთა და ისევ დიდ გულზე დადგა – ახლა კი დროა, სოლომონ, რომაო ოლიგარქს შევუტიოთო. წარმოგიდგენიათ, ეს ყვარყვარეები რეებს კადრულობენ?!

გუბაზ სანიკიძეს შეახსენა ინგა გრიგოლიამ, შენ იძახდი, ერთ მხარეს „ნაცები“ დგანან, მეორე მხარეს კი „ქოცები“, ამათი ბუდე უნდა მოიშალოსო, ახლა კიდევ „ნაცების“ მხარეს გადახვედიო? ამან ქოში უკუღმა ყარა, ღიპი მათლაფიდან გადმოვარდნილი ხაშლამის ნაჭერივით აუთამთამდა, ეგღა მაკლია, ვინმეს მხარეს ვიყოო, ეგღა მაკლია, ვინმემ რამე დამავალოსო. არადა, დაუკვირდით, თვითონ იძახის, ამ ქვეყანაში „ნაცები“ ოპოზიციონრობენ, ეგ უნდა მოიშალოსო და ამ დროს „ნაცების“ ჭაობში ეფლობა. მოდი და ნუ გაგიკვირდება, თუ შენ სააკაშვილს ნამდვილად ებრძოდი, ახლა მის ყოფილ მარჯვენა ხელთან როგორ ჯდები, მასთან პურს როგორ ტეხავ, აღარც „სვინდისი“, აღარც ნამუსი, აღარც გონება, აღარც ტვინი, აღარც მორალი, აღარც ჩემი ფეხები?! როგორც ჩანს, ეგრეა, ამათ რომ ვუყურებ, ამათ საქციელს რომ ვაფასებ... პრინციპში, ვაფასებ რა, რომელ ადამიანურ ლოგიკასა და ქცევის რომელ წესებს ექვემდებარებიან? არცერთს, საერთოდ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, გაუგებარია. თუ ტყვიაველი ირაკლა იმუქრება, ივანიშვილს ცხოვრებას გავურთულებთო, გუბაზ თათქარიძე პირდაპირ „საქმეს“ აანონსებს, მაგას საქართველოდან დავაპანღურებთო. ამათი დაპანღურებული არ გაიშვა ქუთაისამდე, მაგრამ ამდენს რომ ბედავენ, მაინც არასასიამოვნოა. ისე, მე რომ ბიძინას ადგილზე ვყოფილიყავი, ამ ბეყეს 2012-შივე დავაპანღურებდი კოალიციიდან. რაც ამან იკადრა, რაც ამან ილაქლაქა, არ იყო ახლოს გასაკარებელი... თუმცა ივანიშვილს არ ჩაუდვია გულში ბოღმა და პარლამენტშიც კი შეაბრძანა, სადაც 2016 წლამდე ეძინა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61



# უმადურობის სინდრომი

## წერილი მეცხრე

ბატონო ბიძინა, წინა წერილში მადლობა გადაგიხადეთ იმისთვის, რომ ჩემი თხოვნა გაითვალისწინეთ და საქართველოში ერთის ნაცვლად ორ ფსიქიატრიულს აშენებთ… უფრო სწორად, მთავრობა აშენებს, მაგრამ ვიცი, ამაში უთუოდ თქვენი ხელი ურევია. აგერ მას შემდეგ გავიდა ორი კვირა და უკვე დავრწმუნდი, რომ… აი, ისევ მერიდება, თავხედობა გამომდის, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ: ორი არ გვეყოფა, ამ ეტაპზე დაახლოებით ოთხი მაინც გვინდა. რატომ? იმიტომ, რომ 14 ივნისს ისეთი ამბები დატრიალდა მთავრობის სახლთან, ისეთი გიჟობები ვნახე, ამათაც უნდათ ერთი კაი დარბაზი თავის პერსონალთან ერთად. ახლავე გეტყვით, ყველაფერი როგორი ფორმით უნდა გაკეთდეს… ესე იგი, როგორც გითხარით, იქნება დიდი დარბაზი, შეიძლება სტადიონის მსგავსი რაღაცის აშენებაც, ერთ მხარეს ელგებეტეები დადგებიან ცისარტყელოვანი დროშებით, მეორე მხარეს – ვაჟკაცები ჩოხებით და ყანწებით, ოღონდ ყანწებში ჩაი ჩავუსხათ, თორემ თუ აიწყვიტეს, ვეღარ გავაჩერებთ, შეიძლება პერსონალიც ჩახოცონ. ჰოდა, ამათ მივცეთ ბაგირი, ან სულაც თოკი და აქეთ-იქიდან გაქაჩავენ, რომელი მხარეც გადასძალავს, ის იქნება გამარჯვებული. გამარჯვებულს რა მივცეთ, რით დავაჯილდოვოთ? რა და… ყველას სათითაოდ დავკიდოთ ბატის თითო სკლინტი, ძალიან გაუხარდებათ. ისე, ჩვენში დარჩეს, დემოკრატიას საფრთხე შეექმნება, თორემ ესენი დილით ვენახში რომ შეგვეყარა, საღამოს რა „პრაიდის“ ჩატარება, „კრაოტამდეც“ ვერ მიაგნებდნენ ხეირიანად. ადრეც გითხარით, სოფელში მუშახელი ჭირს, ესენი კიდევ აქ ბოდიალობენ. ერთნი იძახიან, გვაღიარეთ, ტაში დაგვიკარითო, მეორენი კიკინებს იშლიან, არ გაღიარებთ, არც ტაშს დაგიკრავთ და პენსიაზეც არ გავალთო. სხვათა შორის, იმათ, იმ ცისარტყელისფრებს აწყობთ გაწი-გამოწი, მერე სხედან და მთელი წლის განმავლობაში წერენ წერილებს საერთაშორისოებს, თუ როგორ აწამებენ, ხოცავენ და მარხავენ მათ საქართველოში. რაც უფრო მუქ ფერებში დაიხატება საქართველო, მით მეტი გრანტები წამოვა უცხოეთიდან. როგორც ჩანს, ამათ, ამ ჩოხიანებსაც აწყობთ დამიჭი-გამიშვი, მშვენივრად უწერენ ქულებს იმათ, იმ სხვანაირებს. ავი ენები ამბობენ, ესენი ერთმანეთში ფარულად დაძვრებიან, მთავრობის კანცელარიის წინ კიდევ ერთმანეთს ურტყამენო, ხალხს აბითურებენო. აბითურებენ რა, ვინც ქლიავია, ქლიავად დარჩება, ვინც არა და, არც ისე დაიჯერებს. ჰო, კიდევ ლევან ვასაძეზე მინდოდა მეთქვა, რომელიც ცოტა უფრო სერიოზული კაცი მეგონა, მივიდა კანცელარიასთან და თავისი ჭკუით, ჟურნალისტები აღადავა, თქვენ სულელები ხართო. არა, სულელი ჟურნალისტების მეტი რა მინახავს, მაგრამ ე.წ. რესპონდენტის მხრიდან ასეთი გამოხტომა არასოდეს მსმენია. მიუხედავად ყველაფრისა, ბატონო ბიძინა, ვფიქრობ, ეს საქმე მაინც არ არის სახუმარო, გარეშე მტერს თავისუფლად შეუძლია ამ დაპირისპირების გამოყენება და ქვეყნის არევა, ამიტომ გთხოვთ, დავამატოთ ორ ფსიქიატრიულს კიდევ ორი და გპირდებით, კაი ხანს აღარაფერს გთხოვთ. ხუმრობა იქით იყოს, ჩვენ მართლა გვჭირდება ოთხი ფსიქიატრიული, ოღონდ ამ ეტაპზე. გავბედავ და ბარემ ახლავე გეტყვით: თუ ავადმყოფთა გამოვლენა-გაშიშვლება ასეთი ტემპით გაგრძელდა, სამომავლოდ კიდევ დაგვჭირდება, თუ რეგიონებშიც ავაშენებთ თითო



საგიჟეთს, ჩვენს ბედს ძაღლიც კი აღარ შემოუყეფს.

ბატონო ბიძინა, მთაწმინდაზე შუალედური არჩევნები რომ ჩატარდა, მეორე ტურის პერიოდში ვიფიქრე, წავალ კახეთში, იქიდან შემოვხედავ სიტუაციას, იქნებ არც ისეა საქმე, როგორც მგონია, იქნებ ბევრი რამე უბრალოდ მეჩვენება-მეთქი? წავედი, ერთი კვირა ვიცხოვრე გლეხურად, არ დაიჯერებთ, თუ ვინმეს აინტერესებდეს ან შავგულიძე, ან „ნაცები“, ან „ე.წ. „ევრონაცები“, ან მათთან გათანაბრებული პირები, ან გუბაზა, ან ვალერა, ან კიდევ ოქრუაშვილი, მე ვიყო ბადრი შუბლაძე, ან მეგი გოცირიძე. ამჟამად კახეთში ვენახების წამლობის პერიოდია, გლეხები დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, ზემოდან კოხი არ მოვიდეს და ვაზს კიდე ნაცარი არ ეცესო. სხვათა შორის, სასწრაფოდაა შესაქმნელი ისეთი სამსახური, რომელიც საქართველოში შემოტანილ საწამლ პრეპარატებს გააკონტროლებს, არავის მონაყოლს არ გეუბნებით, მე მაქვს ალაზნის ველზე დაახლოებით ერთი ჰექტარი ვენახი, რომელსაც ჩემი სიძე უვლის, გადაჰყვა კაცი, არაფერს აკლებს, საიდანღაც ძვირადღირებული ვითომ გერმანული პრეპარატები მოიტანა, თითო შეწამლვა 300 ლარი უჯდება, თითქოს არაუშავდა, თავიდან ვაზი გალაღდა, მაგრამ უცებ ნაცარი გაუჩნდა. რა ქნას ახლა ამ კაცმა? იძახის, ალაზანში უნდა გადავხტეო. მე ვეუბნები, ცოტა ხანს დაიცადე, თუ ვაზს არაფერი ეშველა, მერე გადახტი-მეთქი. რავი, კომუნისტების დროს ვენახები სულ შაბიამნით იწამლებოდა და ოქროსავით ყურძენი იკრიფებოდა. შაბიამანი საერთოდ გაქრა, თუ სადმე გადავაწყდებით, სპილენძის ნაცვლად ლილაში არეული ქვიშაა, ერთი პერიოდი უკრაინიდან შემოჰქონდათ, მაგრამ ეგეც არ გამოდგა. დავიჯერო, საქართველოში არ არსებობს საიმისო რესურსი, რომ ვაზისა და ხეხილის საწამლი პრეპარატები მაინც დავამზადოთ, ბოლო-ბოლო, შაბიამანი მაინც გამოვუშვათ? ჰოდა, იმას ვამბობდი, როცა რეგიონებში ასეთი ამბავია, როცა ასეთი პრობლემებია, ვის სჭირდება გუბაზა და ვალერა, ვის აინტერესებს მათი ნაპოლეონობა და რობესპიერობა? რაღა დაგიმალოთ… ალბათ 2020 წლამდე არა მხოლოდ ესენი, სხვებიც უფრო მეტად გამოაჩენენ საკუთარ ვირეშმაკულ სიდებილეს, ალბათ უფრო მეტად ჩაიძირებიან საკუთარ ნეხვში და… „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს დიდი უპირატესობით. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ექნება პრობლემები. აი, ერთ მაგალითს გეტყვით: როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში სიტუაცია დაიძაბა და დადგა ის დრო, ყველას თითო აგური უნდა დაგვედო საქმისთვის, როცა მივხვდი, კალამი საკმარისი აღარ იყო, ჩემი სურვილით ჩავედი სიღნაღში, გვერდით დავუდექი გელა გელაშვილს, რომელსაც კარგად იცნობთ, მაგრადაც წავიმუშავეთ და წაგებული რაიონი მოვიგეთ.

სოფელ ტიბაანში არის ერთი ორღობე, დაახლოებით 200 მეტრი იქნება, სადაც გავლა უკვე შეუძლებელია, წყალმა ჩაახევა და ხახლი საკუთარ ეზოებში ვეღარ შედის. მეორე ტურის წინა დღეებში ამ ორღობის მაცხოვრებლებმა მითხრეს, ერთი „გრეიდერი“ გვჭირდება, გაგვიტარეთ, გზა გაგვისწორეთ, დანარჩენი ჩვენზე იყოსო. მე ვუთხარი, არ არის პრობლემა, როგორც კი არჩევნები ჩაივლის, ეგრევე გაკეთდება-მეთქი, თითქმის საკუთარ თავზე ავიღე. აგერ, გავიდა თვეები, სიღნაღის მერისთვისაც უთქვამთ, იმას „ბლოკნოტშიც“ ჩაუწერია საგანგებოდ, მაგრამ არაფერი. როცა ამ სოფელში ჩავდივარ, ყოველთვის მსაყვედურობენ, ხედავ, რომ საარჩევნო დაპირებებს არ ასრულებენო? ყველაფერს მე ვიბრალებ, ვერ მოვიცალე, ამას ვერ დავურეკე, იმას ვერ შევატყობინე, ცოტაც დამაცადეთ, რა უნდა მაგ ორღობის გაკეთებას-მეთქი? ამ დროს სიღნაღის მთავრობა ხან ჩინეთში დასეირნობს, ხან იაპონიაში, ხან კიდევ პოლონეთში. მიზეზსაც ვერ ასახელებენ, რას დადიან, რა მიაქვთ და რა მოაქვთ. ახლა ვფიქრობ, ერთი „გრეიდერი“ ვიქირავო და იმ ორღობეში გავატარო, თორემ მრცხვენია. სხვაც რომ არა იყოს, 2020 წლის არჩევნები რომ მოახლოვდება, „ქართული ოცნების“ ვერც ერთი წარმომადგენელი ტიბაანში ვეღარ გამოჩნდება. შეიძლება თქვენც გაგიჩნდეთ შეკითხვა, შენ რა გრჯის, არც „ქართული ოცნების“ წევრი ხარ, არც დეპუტატი და არც მერიო. ეგ მართალია, მე არ მაქვს არანაირი ოფიციალური ვალდებულება, სოფელ-სოფელ ორღობეებში ვიარო და მით უმეტეს, „გრეიდერებს“ ვდიო, მაგრამ ზემოთაც გითხარით, როცა კალამი საკმარისი აღარ აღმოჩნდა, როცა საშიშროება შეიქმნა, როცა „ოცნების“ შტაბში წამოწოლილმა ღიპიანმა ტიპებმა ფული და საწვავი სახლებში წაიღეს, სხვა გზა არ იყო, ენთუზიაზმზე უნდა გაგვერისკა. მე ბენზინის ტალონი მომცეს, 10 ლიტრისა და გეფიცებით, თავი უხერხულად ვიგრძენი, ვფიქრობდი, დავაბრუნო-მეთქი, მაგრამ ეგეც ვერ გავაკეთე, წიხლის კრასავით გამოვიდოდა. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გელა გელაშვილმა მოიგო თავისი გამოცდილების, ავტორიტეტისა და ჯანმრთელობის ხარჯზე, მაგრამ დღემდე არც არავის დაურეკავს და ერთი მადლობაც არავის წამოსცდენია. როცა უმადურობაზე ვლაპარაკობ, ეს არ ეხებათ მხოლოდ „ოცნების“ მტრებს, ან „ოცნებიდან“ გაქცეულ-გაქსუებულებს, ან თქვენგან პერსონალურად პატივნაცემებს, პარტიაში ბლომად გვყავან ოფიციალური უმადურები, რომლებიც ყველაფერს თვითონ იწერენ, ყველაფერს თვითონ იფერებენ, ვინც საქმეს აკეთებს, იმათ ფეხებზე იკიდებენ. კაცო, მე ვიქირავებ ჩემივე ხარჯებით „გრეიდერს“, ჩავატარებ იმ ორღობეში, პრობლემა არ არი, მაგრამ ესენი, ეს მერები და დეპუტატები რა ნამუსით არიან დეპუტატები და მერები? ბოლო-ბოლო, საიდან მოვიდნენ და ვინ არიან, ეს ჩემის გადანგრეულები? არა, მე კი ვიცი, საიდანაც მოვიდნენ, ამაზე მომდევნო წერილში მოგიყვებით, მაგრამ ხალხს რა ხეირი? საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მჯეროდა, რომ წაგებულ რაიონებში მაინც, დაიწყებოდა ცვილებები და ყველა გამოქლიავებული მერი თუ პარტიის რაიონული თავმჯდომარე „დაპაშოლდებოდა“, მაგრამ ასე არ მოხდა, ჩვენ მოვიგეთ, მათ კი ისევ ძველებურად გააგრძელეს „საქმიანობა“ რესტორნებში. ბატონო ბიძინა, როგორც ჩანს, ამის თაობაზე არავინ არაფერს გეუბნებათ, ამიტომ იძულებული ვარ, მე გითხრათ.

პატივისცემით,
**გელა ზედელაშვილი**



# არ ვიცი, რით დასრულდება ყოველივე ეს, მაგრამ შედეგებზე პასუხისმგებლობა ჩვენ ყველას ერთად მოგვეთხოვება



*გვესაუბრება ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებრივი გაერთიანება „ტოლერანსის“ თავმჯდომარე, ელბრუს მამედოვი*

**— ბატონო ელბრუს, მაინტერესებს თქვენი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის დამოკიდებულება საქართველო-აზერბაიჯანს შორის რატომღაც საჯილდაო ქვად ქცეულ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით.**

— დავით გარეჯის საკითხზე, რომელსაც აზერბაიჯანში კეშიშცი დაგს უწოდებენ, დღესდღეობით მთავრობათაშორისი კომისია მუშაობს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი. ამ ფონზე, ფაქტობრივად, უკვე მეორე თვეა მიმდინარეობს კომისიაზე ზეწოლა. ნებისმიერი, ვინც განაცხადებს, რომ უნდა დაელოდონ კომისიის გადაწყვეტილებას, პოლიტიკური ბოსების ჯგუფებისა და ვაი-პატრიოტების მიერ უმალვე ინათლება საქართველოს ეროვნული ინტე-



რესების მტრად და მოღალატედ. ჯანსაღი ლოგიკა ჩანაცვლებულია ურა-პატრიოტიზმით, ხოლო საქართველოს რეალური ინტერესები ყალბი ემოციებით.

მოდით, ამოსავალ წერტილად საერთაშორისო ნორმები ჩავთვალოთ. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებობს ტერიტორიული დავა? — არა. საქართველო ცნობს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო აზერბაიჯანი საქართველოსას? — დიახ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაეროს მიერ უკვე აღიარებულია საზღვრები, არა? — დიახ, ასეა.

ნებისმიერი მცდელობა ზეწოლისა და შანტაჟისა ამ მთავრობათაშორისი კომისიის მუშობაზე, კონტრპროდუქტიულია და მხოლოდ ზიანის მომტანი, პირველ რიგში კი საქართველოსათვის. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისადმი ჩემი მიმართვის მიზანია, არ დავუშვათ ამგვარი ზიანი – ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეთნოსთაშორისი.

**— თქვენ ზეწოლა ახსენეთ. ვისი მხრიდან მიმდინარეობს ზეწოლა, დაგვისახელეთ, ვინ არიან ეს ადამიანები და რა შეიძლება იყოს მათი ინტერესის საგანი?**

— „პატრიოტთა ალიანსის“ აქტივისტების გარდა, ამ საკითხებზე აპელირებდნენ სხვა პოლიტიკური პარტიების წევრებიც, თუმცა საჯაროდ ამის შესახებ არ განუცხადებიათ.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა, დავით თარხან-მოურავმა და მთელმა რიგმა „პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგებისა“, აქტიურად მოითხოვეს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ვინც მონაწილეობდა დემარკაციისა და დელიმიტარიზაციის სახელმწიფოთაშორის კომისიაში, ასევე მოსთხოვეს საქართველოს პროკურატურას „ღალატის“ გამოძიება იმ პირთა მხრიდან, ვინც დავით-გარეჯი „აზერბაიჯანს გადასცა“. „პატრიოტთა“ იგივე ჯგუფმა მზადება დაიწყო სახელმწიფოთაშორისი კომისიის წევრების პარლამენტში გამოძახებისთვის „ღალატის“ საკითხის განსახილველად, როდესაც დავით-გარეჯზე სრული კონტროლი გადაცემული იქნა 2007 წელს და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ზეწოლა არ არის?

**— პირადად თქვენ დავით გარეჯი სადაო საკითხად მიგაჩნიათ? ისტორიული წყაროებით, ამ ტერიტორიაზე იყო ქრისტიანული მონასტერი და იქ ქართველი მართლმადიდებელი ბერები მოღვაწეობდნენ. რამდენად წარმოგიდგენიათ, აზერბაიჯანის მუსულმანურ ტერიტორიაზე ქართული სამონასტრო კომპლექსი არსებულიყო?**

— არავინ არაფერს ართმევს ვინმეს. საკითხის ამგვარი განმარტება უკვე არ ტოვებს ადგილს აღნიშნული სახელმწიფოთაშორისი კომისიის მიერ განხილვისთვის და მუშაობისთვის. ჩემთვის ერთი რამ არის ნათელი – რეალურად დაინტერესებული ძალები ცდილობენ ქართული საზოგადოების ყურადღების გადატანას რეალურად ოკუპირებული ტერიტორიებიდან და სეპარატიზმის პრობლემებიდან ისეთ თემებზე, რომლებიც ეროვნული ადრენალინის ჭარბად გამოტყორცნას გამოიწვევს. დღესდღეობით ეს თემა სუსტ წერტილს წარმოადგენს საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის ჯაჭვში, რომელსაც დღესდღეობით გაწყვეტით ემუქრებიან.

ამ ფონზე კი სოციალური ქსელებისა და მასმედიის საშუალებით, გამუდმებით ვრცელდება მოწოდებები იმის თაობაზე, რომ „სოკარის“ კომერციული სტრუქტურის საქმიანობა საქართველოში უნდა დაიბლოკოს, რადგანაც ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს დავით გარეჯის საკითხის გადაწყვეტაზე.

მე არც „სოკარის“ ბენეფიციარი და, მით უმეტეს, არც მისი დამცველი ვარ. მაგრამ ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე და მომსწრე „სოკარის“ მნიშვნელობის აქამდე, მთელი 15 წლის განმავლობაში და ახლაც, საქართველოს საზოგადოებრივი და ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის, ასევე ჩემი ქვეყნის, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

დღესდღეობით, ყველა ის ადამიანი, რომელიც აქტიურად საუბრობს და მხარს უჭერს „სოკარის“ მუშაობის ბლოკირებას საქართველოში და ამბობს, არ ჩავასხათ ბენზინი „სოკარის“ სადგურებიდანო. ეს გახლავთ ყველა იმ სოციალური თუ ჰუმანიტარული პროექტის მოწინააღმდეგე, რომელსაც ახორციელებს ეს კომპანია ყოველგვარი პიარის გარეშე. საუბარია ასობით პროექტზე. ყველა ის, ვინც მომხრეა საქართველოს ბაზრიდან გავიდეს „სოკარი“, ფაქტობრივად, საფუძველს აცლის ყველა იმ სოციალურ სტრუქტურას, რომელიც ამ კომპანიაზე დგას.




რატომ უნდა დაიბლოკოს პოლიტიკოსთა მიერ „სოკარის“ კომერციული სტრუქტურის საქმიანობა და ამით ზიანი რატომ უნდა მიადგეს კომერციულ სტრუქტურებს? „სოკარი“ იხდის სახელმწიფო ბაჟს, საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ეწევა ქველმოქმედებას. აი, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ვინმემ დაითვალა, რამხელა ზარალი შეიძლება მიადგეს ქვეყნის კომერციულ სტრუქტურას?

**— გასაგებია, მაგრამ გარეჯის საკითხს „სოკარის“ კეთილმოწყალება ვერ გადაფარავს. ისტორიის წართმევა ერისთვის არ არის ადვილად მოსათმენი ამბავი...**

— თქვენ იცით, რა ხდება სინამდვილეში? ხდება ის, რომ ნაციონალიზმით შეპყრობილ უპასუხისმგებლო პოლიტიკანებს აუცილებლობად მიაჩნიათ განაცხადონ, რომ საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო მიმდინარე პროცესების „ტყვეები“ არიან. წარმოიდგინეთ, რომ აზერბაიჯანულ თემზე და სრულიად ერზე ერთეული პოლიტიკოსები არა მხოლოდ დისკრიმინაციულ კონტექსტში საუბრობენ, არამედ „კარისკენაც“ მიუთითებენ.

მივდივართ აბსურდამდე. უკვე არაერთხელ მოგვისმენია, რომ „პოლიტოლოგებისა და ექსპერტების“ გარკვეული წრე ცდილობს საქართველოს და აზერბაიჯანს გადაუკეტოს „წყლები და მდინარეები“. ყოველივე ეს სახის სერიოზული გამომეტყველებით შუქდება ტელეარხების მეშვეობით. კეთილმეზობლობის ამგვარი თითიდან გამოწოვილი „სახელმწიფოთაშორისი“ პრობლემების ჩანაცვლება ძალზე მძიმე კვალს ტოვებს სრულიად კავკასიის საზოგადოებაზე.

**— რა კვალზე საუბრობთ? აზერბაიჯანული მხარე მძიმე სამხედრო ტექნიკით მოადგა შევარდნაძის პერიოდში საქართველოს საზღვარს, წყალს რატომ არ გვაძლევთო. ქართველების მხრიდან ასეთი რამ ვინმეს ახსოვს აზერბაიჯანში?**

— თქვენ მშვენივრად იცით, რომ ავრცელებთ ყოვლად დაუდასტურებელ, პროვოკაციულ ინფორმაციას. აზერბაიჯანს რომ ოდესმე მსგავსი რამის გაკეთების უფლება მიეცა საკუთარი თავისთვის, ვარაუდის დონეზეც კი, ამგვარი ფაქტის შესახებ საუბარს პოლიტიკური პარტიები და აქტივისტები ნამდვილად არასოდეს შეწყვეტდნენ.

დღეს ჩვენ კვლავაც ვხედავთ, რომ ამოქმედდა მექანიზმები, რომლებიც ისევ ცდილობენ საქართველო ეთნოსთაშორის კონფლიქტში ჩაითრიონ. გვეუბნებიან, რომ ჩვენ, საქართველოს აზერბაიჯანელებს გვაქვს უფლება ვიყოთ ნამდვილი მოქალაქეები, თუმცა, პირველივე მცირედი დაბრკოლების შემთხვევაში, „კარისკენ“ მიგვითითეს დემოკრატიულ სახელმწიფოში. ჩვენ ვკითხულობთ და თვალს ვადევნებთ იმას, თუ რა იმალება კულუარებში ამ ცრუ-პოლიტიკოსებისა და ცრუ-გმირების ყალბი ტოლერანტობისა და ასეთივე ყალბი თავაზიანობის მიღმა. დიახ, როდესაც უფლებას ვაცხადებთ საკუთარ კულტურულ და ეროვნულ იდენტობაზე, ქართველი მოძმის გვერდით, ჩვენ ამის უფლება ნამდვილად გვაქვს. თუმცა, ეს პოლიტიკური ძალები ცდილობენ ჩვენს მოქცევას მათი „ეროვნული იდეოლოგიის“ ნებადართულობის და მითითებების ჩარჩოებში, ან ახორციელებენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ემიგრაციულ განწყობას აღვივებენ აზერბაიჯანული თემის წევრებში.

**—სად ნახეთ დაჩაგრული აზერბაიჯანელი, გთხოვთ მითხარით...**

— აზერბაიჯანული თემის ისტორია, რომელიც ამ მიწაზე უკვე ასობით და ათასობით წელიწადის განმავლობაში მკვიდრობენ, იგივე საქართველოს ისტორიაა. ეს არ გახლავთ პირადი მოსაზრება გარედან მაცქერალი ჩინოვნიკისა თუ პარტიული მოხელის. ამ ისტორიას პარტიული ბოსები წარმოგვიდგენენ არა როგორც სინამდვილეს, არამედ როგორც სიცრუისა და სიყალბის მთელ ნაკრებს. არ ვიცი, რით დასრულდება ყოველივე ეს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შედეგებზე პასუხისმგებლობა ჩვენ ყველას ერთად მოგვეთხოვება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# დემონის გამოძახება ანუ შეიძლება რობოტებმა ადამიანები დედამიწიდან განდევნონ?

არც ისე დიდი ხნის წინ, გამომთვლელი მანქანები კონკრეტულ დავალებას, მხოლოდ კონკრეტული ბრძანების საფუძველზე ასრულებდნენ. გარდა იმისა, რომ ოპერაციების რაოდენობა შეზღუდული იყო, მანქანას ავტონომიურად მოქმედებაც არ შეეძლო და მთლიანად ადამიანზე იყო დამოკიდებული. სიტუაცია იცვლება. ელექტრონულმა მოწყობილობებმა ლოგიკური აზროვნების გარდა, სპორტითა და ხელოვნებითაც დაიწყეს დაკავება. თუმცა ხელოვნური ინტელექტი თავის არსში მხოლოდ ჰუმანოიდი რობოტი არაა. მობილური აპლიკაციები და კომპიუტერული პროგრამები ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი განხრაა. მოწყობილობა დისკუსიის საგანია. ერთის მხრის ის ზრდის პროდუქტიულობას, ამცირებს დანახარჯებს, გვაძლევს ახალ ცოდნას, ახალ შესაძლებლობებს, მაგრამ მეორეს მხრივ ადამიანს ართმევს სამუშაოს და უფრო მეტიც ფუნქციებსაც კი რაც არა მხოლოდ ეკონომიკურ ფსიქოლოგიურ სტრესსაც



იწვევს. რეი ქურცვეილის აზრით, ადამიანები და ტექნოლოგიები შეერწყმებიან ერთმანეთს, შედეგად კი მივიღებთ არა სულელ ადამიანს და ჭკვიან მანქანას, არამედ ადამიანებს გაძლიერებული ინტელექტით. ცივილიზაციას, რომელიც კოსმოსში გამრავლდება და უკვდავების საიდუმლოს ამოხსნის. ხელოვნურ ინტელექტს ეყრდნობა თეთრი სახლიც მომავლის ეკონომიკის დაგეგმვაში, უსაფრთხოების საკითხებში. ილონ მასკი კი მზადაა, მცირე გადახვევის შემთხვევაში, უბრალოდ, „კაბელები გამორთოს“. უკვე მეცნიერები და ვიზიონერებიც იუწყებიან, რომ ხელოვნური ინტელექტი პანდორას ყუთია, ბომბი ჩართული წამზომით. ილონ მასკმა ხელოვნური ინტელექტის შექმნა „დემონის გამოძახებასაც“ შეადარა. ოსტინში ტექნოლოგიურ კონფერენციაზე გამოსვლისას, მასკმა განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტი, კაცობრიობისთვის პოტენციურად უფრო საშიშიც კი შეიძლება იყოს, ვიდრე ბირთვული იარაღი. ილონ მასკი მულტიმილიონერი ოცდარვა წლის ასაკში გახდა. მისი სახელი ყოველთვის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებს უკავშირდება. ის არაერთი კომპანიის მფლობელი და დამაარსებელია, რომლებიც მომავლის ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული. მათ შორის ყველაზე ცნობილი საავტომობილო კომპანია „ტესლაა“, რომლის საწარმოო პროგრამაც მხოლოდ ელექტრომობილების წარმოებაზეა ორიენტირებული.

მასვე ეკუთვნის კომპანიები, „სპეის იქსი“ (კოსმოსური ტურიზმი და კვლევა), „ბორინგ კომპანი“ (ახალი ტიპის ტრანსპორტი), „სოლარ სიტი“ (მზის ენერგია) და „ნეურალინკი“ (ნეირონ ტექნოლოგიები). ეს უკანასკნელი ადამიანის ტვინსა და კომპიუტერებს შორის კავშირის დამყარებაზე მუშაობს, რათა ასე შეძლოს ბევრი დაავადების გამკლავება და ადამიანებს აზროვნებაშიც კი დაეხმაროს. უფრო მეტიც, მასკის „ტესლამ“ შეიმუშავა ავტომობილების ნახევრად ავტონომიური ტექნოლოგია, რომლითაც უკვე მისი ავტომობილები კომპლექტდება. თუმცა უახლესი ტქნოლოგიებიდან ხელოვნური იტელექტი მის შეშფოთებას იწვევს.“მე ძალიან ახლოს ვარ ხელოვნური ინტელექტის შექმნასთან. და ეს ძალიან მაშინებს. მას უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს, იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ვინმეს წარმოდგენა შეუძლია. ტექნოლოგიის გაუმჯობესების ტემპი კი წარმოუდგენელია“, ბევრი, მათ შორის ფეისბუკის დამაარსებელი მარკ ცუკერბერგი და ჰარვარდის პროფესორი სტივენ პინკერი თვლის, რომ მასკი შიშს ჰყავს შეპყრობილი და ხელოვნური ინტელექტის მისეული შეფასება „უპასუხისმგებლობაა“. მაგრამ ამაზე სამხრეთ აფრიკული წარმოშობის ბიზნესმენი პასუხობს, რომ ვინც მის გაფრთხილებებს არ უსმენს, სულელია.“ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც ეგრეთ წოდებული ხელოვნური ინტელექტის ექსპერტებში ვხედავ ისაა, რომ ისინი თვლიან, რომ იმაზე მეტი იციან, ვიდრე რეალურად იციან და იმაზე საზრიანები არიან, ვიდრე რეალურად არიან. საზრიან ადამიანებს არ მოსწონთ ის იდეა, რომ მანქანამ შეიძლება მათ აზროვნებაში აჯობოს. ამიტომ ისინი ბევრ რამეს არ ითვალისწინებენ, რაც ძირეულად მცდარი გზაა“. ის თვლის, რომ ხელოვნური ინტელექტის პოტენციური საფრთხის შემცირება, მის რეგულირებას შეუძლია. მაკონტროლებელი უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც გააკონტროლებს ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხო გამოყენებას. „ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ხელოვნური ინტელექტი იმაზე გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე ბირთვული იარაღი, რომლის შექმნის უფლებაც, ყველას არ აქვს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები. ხელოვნური ინტელექტი ბირთვულ იარაღზე ბევრად საშიშია“. უფრო ადრე დუბაიში გამოსვლისას ილონ მასკი ადამიანისა და მანქანის ერთგვარი სიმბიოზის იდეით გამოვიდა სადაც ადამიანის ტვინისა და მძლავრი კომპიუტერის პირდაპირი კავშირის აუცილებლობაზეც ისაუბრა. მასკი თვლის, რომ მსგავსი ტექნოლოგიების განვითარება კაცობრიობას უმუშევრობამდე და ომებამდე მიიყვანს... საკომანდო-ანალიტიკური ხელოვნური ინტელექტის სისტემები ცვლის სარდლობას, გენშტაბს, საშუალო რგოლის ოფიცრებს და ასევე ჯარისკაცებს. საომარი რობოტოტექნიკური კომპლექსების შემოტანამ მიმდინარე ომებში მოახდინა საბრძოლო ტექნიკის გაბარიტების შემცირება, მინიატურიზაცია და ლოჯისტიკის გაიოლება. იცვლება საომარი ოპერაციების ხანგრძლივობა და სისწრაფე. საომარი კამპანიის ბედის გადაწყვეტა ხდება რობოტების ელვისებური მოქმედებებით. ეს არის ჰიპერომი. ომის მენეჯმენტში ხელოვნური ინტელექტი ამბობს გადამწყვეტ სიტყვას და არა ადამიანი. ხდება ომის მენეჯმენტისა და პასუხისმგებლობის დელეგირება რობოტისათვის. გადაწყვეტილების მიღების დრო რამდენიმე წუთით ან რამდენიმე წამით განისაზღვრება. მხოლოდ ასე რომ იყოს, რომ ომის მენეჯმენტში სარდლისათვის ხელოვნური ინტელექტი ასრულებდეს ვირტუალური ასისტენტის როლს, არაფერი იქნებოდა შემაშფოთებელი. ომის მენეჯმენტში საომარი ავტონომიური რობოტოტექნიკური კომპლექსები სარდალი და საზოგადოდ ადამიანი ხელისშემშლელი ხდება. საბრძოლო ხელოვნური ინტელექტი თავად ხდება სარდალი. საომარი კამპანიის მენეჯმენტი ადამიანისა და რობოტის კორელაციის საფუძველზე რობოტს უდასტურებს ადამიანის ძალთა შეზღუდულობას. რობოტი წუნს დასდებს ადამიანს და გააძევებს მას. აი, აქ იწყება ეგზისტენციალური საფრთხე ადამიანისათვის, როდესაც საომარი რობოტული პლატფორმა შეიგნებს თავის აბსოლუტურ აღმატებულებას ადამიანზე, როგორც ომის ცუდ ხელმძღვანელზე. რობოტის ეს რეფლექსია ადამიანის ბიოლოგიური სახეობისათვის დიდ რისკს წარმოშობს. რობოტებს, რომელნიც მომავლის ჰიპერომებში ადამიანის ჩარევის გარეშე მიიტანენ იერიშს სელექცირებულ მიზანზე, გაცილებით მეტი შანსი აქვთ მოიგონ ომი, ვიდრე იმ რობოტების კლასს, რომელნიც ახდენენ მიზნის სელექცირებას, მაგრამ ადამიანი ოპერატორის გარეშე მისი განადგურება არ შეუძლიათ. მომავლის ომებში სამხედრო ხელოვნური ინტელექტის პლატფორმების სისწრაფეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს შეიძლება შევადაროთ ალგოტრეიდინგს, როდესაც ტრეიდერი რობოტები წამზე ნაკლებ დროში იღებენ გადაწყვეტილებას და ამით ჯობნიან ნაკლები სისწრაფის მქონე ანალოგიურ ტრეიდინგულ პლატფორმებს. მართვადი და ავტონომიური საბრძოლო სისტემების სულ უფრო მზარდი გამოყენება წარმოშობს აქამდე უცნობ ეთიკურ და სამართლებრივ პრობლემებს. ძნელი გასარკვევია ავღანეთის ან პაკისტანის სოფელში საქორწილო მსვლელობა უპილოტო საფრენმა აპარატმა ავტონომიურად დაბომბა, თუ აპარატის ოპერატორმა გასცა დაბომბვის ბრძანება? სამხედრო უწყება ყველანაირად შეეცდება ინციდენტის მიჩუმათებასა და თავის გამართლებას, რაც არაერთხელ მომხდარა. დრონის ოპერატორმა მიიჩნია ქორწილის მონაწილენი ტერორისტებად, თუ თავად ავტონომიურმა სისტემამ? დაბომბვის დროს გამოყენებული დრონის ტიპს (სრულიად ავტონომიური ან დისტანციურად მართვადი) სამხედრო უწყება არ გაახმიანებს. ამ ტიპის აპარატები და დამრტყმელი დრონები, რომელთაც ატომური იარაღის წაღებაც შეუძლიათ, ავიწროებენ ავიაციას, რომელიც აქამდე გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა საომარ კამპანიაში. ავიაგამანადგურებლების, ავიამზიდებისა და ტანკების დრო თანდათან წავიდა. სამხედრო ექსპერტების აზრით, დამრტყმელი დრონები ასევე შეავიწროებენ ფრთოსან რაკეტებს. პენტაგონმა სწრაფად აიტაცა მცირე ზომის საომარი დრონების გუნდის იდეა, რომელიც, როგორც ცნობილია, 2011 წელს წამოაყენა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ავიაციისა და კოსმონავტიკის განყოფილების სტუდენტთა ჯგუფმა. იდეის თანახმად, დრონებმა უნდა იფრინონ ფუტკრების ნაყარის, ან ფრინველთა გუნდის მსგავსად. საბრძოლო უპილოტო აპარატების წარმოება გაცილებით იაფია, ვიდრე თანამედროვე ბომბდამშენებისა და ავიაგამანადგურებლების წარმოება. მცირე ზომის უპილოტო აპარატების მაკომპლექტებელი დეტალები შეიძლება დამზადდეს 3-დ პრინტერზე. თანამედროვე უპილოტო აპარატებს (UAV), გლაიდერებსა და პლანერებს დიდი მომავალი აქვთ. მსგავსი აპარატები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომერციული მიზნით სუბორბიტული ტურიზმისათვის. გავრცელებული ინფორმაციით, პენტაგონის თავდაცვის თანამედროვე კვლევითი პროექტების სააგენტომ და თავდაცვის დამატებითი კვლევითი პროექტების სააგენტომ დაიწყო ურბანულ გარემოში საომრად განკუთვნილ რობოტებზე მუშაობა. მფრინავი რობოტების ასეულისგან შემდგარი გუნდი ქალაქის კვარტლებში საბრძოლო არეალის სკანირებას ეწევა და ქმნის ბრძოლის გეგმას.





(გაგრძელება იქნება)

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

# მსოფლიო ბეწვის ხიდზე



მსოფლიოს კიდევ ერთხელ მოუხდა „ბეწვის ხიდზე“ გავლა გასულ კვირას. მოქმედების ადგილი, სადაც შეიძლებოდა შეიარაღებული კონფლიქტი დაწყებულიყო, კვლავ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გახლდათ. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ომანის ყურეში უცნობმა დაჯგუფებამ ორი ტანკერი ააფეთქა. თავდაპირველი ცნობით, ერთ-ერთი მათგანი ჩაიძირა, თუმცა, მოგვიანებით ფაქტი არ დადასტურდა. ტანკერებზე არსებული ნავთობპროდუქტები ხანძარმა გაანადგურა. ორივე ტანკერიდან ეკიპაჟის წევრების ევაკუაცია დროულად განახორციელეს ირანის და საუდის არაბეთის მაშველებმა, ამიტომ არავინ დაზარალებულა. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ერთი თვის წინათაც ამავე რეგიონში ორი ტანკერი აფეთქდა, მაგრამ ორივე ტრანსპორტმა უმნიშვნელო



დაზიანება მიიღო, ამიტომ ინციდენტი მალე მიჩუმათდა.

ომანის ყურეში მომხდარი ინციდენტი ტერორისტულ აქტად შეფასდა. მცირე, ერთდღიანი პაუზის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ მომხდარში უპირობოდ ირანი დაადანაშაულა, ტანკერებზე თავდასხმა მათი ნამოქმედარიაო. აშშ-ის ადმინისტრაციას მხარი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯერემი ჰანტმა დაუჭირა და მანაც ირანი დაადანაშაულა ტერაქტში. თუმცა მთავარი ოპოზიციონერი, ლეიბორისტი ჯერემი კორბი არ ეთანხმება ქვეყნის ოფიციალურ პირებს, ასეთი განცხადებებით ფართომასშტაბიანი ომის ალბათობა იზრდებაო, განაცხადა, რის გამოც ჰანტის მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა. აშშ-ის ადმინისტრაციას არც გერმანიის ხელისუფლება ეთანხმება, მათ ირანის ტერაქტში მონაწილეობა საეჭვოდ მიაჩნიათ.

მსოფლიოს პოლიტიკოსების უმრავლესობა ომანის ყურეში მომხდარი ინციდენტის შეფასებისგან თავს იკავებენ და დროებით დუმილს ამჯობინებენ. ექსპერტები გამორიცხავენ ირანის მხარის ტერაქტში მონაწილეობას, რომლებიც თავიანთ მოსაზრებას არგუმენტებით ამყარებენ. ინციდენტის დროს ირანში იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე იმყოფებოდა სტუმრად სულიერ წინამძღოლ აიათოლასთან, რომელმაც დონალდ ტრამპის წერილი გადასცა. ფაქტობრივად, იფი შუამავლის ფუნქციას ასრულებდა ირანსა და აშშ-ს შორის. მართალია, აბეს უმაღლესი დონის დახვედრა მოუწყეს, მაგრამ აიათოლამ სტუმარს განუცხადა: „...ტრამპი პასუხის ღირსი არ არისო“. ტრამპის პასუხი უპასუხოდ დატოვა კიდეც. და, რაც მთავარია, იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლები ირანში 1978 წლის შემდეგ არ ყოფილან. სინძო აბე პირველია, ვინც ირანის ისლამურ სახელმწიფოს რევოლუციის, ათწლეულების შემდეგ ესტუმრა.

საეჭვოა ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთ ტანკერს ნავთობი ირანიდან სწორედ იაპონიაში გადაჰქონდა. ამიტომაც მიაჩნიათ ექსპერტებს, რომ აბეს ვიზიტისას ირანელები არ ააფეთქებდნენ იაპონიის დროშის ქვეშ მცურავ ტანკერს, მით უფრო, მათი ქვეყნიდან გაჰქონდათ ნავთობი, ანუ, აქვთ სავაჭრო ურთიერთობა. პოლიტოლოგებმა ინციდენტი დიპლომატიის საბოტაჟად შეაფასეს.

ბრიტანელი ექსპერტების შეფასებით, ორმუზის სრუტის გავლით, რომელსაც ირანი აკონტროლებს, არაბული ქვეყნების ნავთობის თითქმის 90% გადის, ამიტომ ირანელებისთვის რეგიონში სტაბილურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიაო. მართალია, ირანელებმა რამდენჯერმე მუქარით განაცხადეს, დაწესებული სანქციების გამკაცრების შემთხვევაში გადაკეტავდნენ ორმუზის სრუტეს, რაც მსოფლიოში ნავთობის დეფიციტს და ფასების ზრდას გამოიწვევდა, მაგრამ რაიმე ქმედება არ განუხორციელებიათ.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოებაც. როგორც ცნობილია, აშშ-ის სამხედრო ფლოტის გემები, მათ შორის, ავიამზიდი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჯერ კიდევ მაისში გადაისროლეს. სამხედრო ექსპერტების განცხადებით, ინციდენტის ადგილიდან ყველაზე ახლოს სწორედ აშშ-ის გემები იყვნენ. ტანკერების აფეთქების მეორე დღეს გავრცელდა კადრები — გაურკვეველი კატერი მიუახლოვდა ერთ-ერთ ტანკერს. იქ მყოფებმა რაღაც ნივთი გადაიტანეს ტანკერიდან კატერზე. აშშ-ის მხარე ირწმუნება, რომ კატერზე ირანელები იყვნენ, რომლებმაც საბრძოლო ნაღმი მოხსნეს ტანკერიდან კვალის დასაფარად.

ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი არ ეთანხმება ამერიკელთა ბრალდებას: „...ჯერ ერთი, მომხდარი ირანის ხელწერას არ ჰგავს, ისინი სხვა მეთოდებით მოქმედებენ. რაც მთავარია, ნებისმიერი გემის გასანადგურებლად ასაფეთქებელ მოწყობილობას გემის ფსკერზე ამაგრებენ და არა წყლის დონიდან 1,5–2 მეტრის სიმაღლეზე. ეს აბსურდული ბრალდებებია“, — აცხადებს კედმი. პოლიტოლოგებმა გაიხსენეს 1964 წელს ვიეტნამში დაწყებული ომის პერიპეტიები. მაშინ პრეზიდენტ ჯონსონს მოახსენეს, რომ ვიეტნამელებმა გაანადგურეს აშშ-ის სამხედრო ხომალდი. ჯონსონმა საომარი მოქმედების დაწყების ბრძანება გასცა. ომი თითქმის 10 წელი გაგრძელდა. 2005 წელს კი გასაჯაროებული საარქივო მასალებით ცნობილი გახდა, რომ ვიეტნამელებს მაშინ არ განუხორციელებიათ შეტევა ამერიკულ გემებზე. გამეორდება თუ არა ისტორია 55 წლის შემდეგაც, ამის შესახებ პოლიტოლოგები ვერაფერს ამბობენ.

ვის აწყობს რეგიონში ახალი ომის დაწყება, უცნობია. ექსპერტების ვარაუდით, დონალდ ტრამპს სულაც არ აძლევს ხელს საბრძოლო მოქმედებების დაწყება. ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი: „...დონალდ ტრამპს ომის დაწყება რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე სულაც არ აწყობს. გაისად აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებია. ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში მსხვერპლი იქნება, თუნდაც მცირე, მაგრამ რაც ტრამპს დააკარგვინებს ამომრჩეველს. მეორეც, აშშ-ის ეკონომიკა აგორებული სავაჭრო ომების გამო დამუხრუჭდა, შესაძლებელია, შემცირდეს კიდეც. გასათვალისწინებელია, ავღანეთში, ერაყში ჯარების ყოფნა, რაც სოლიდურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ტრამპისთვის წამგებიანი იქნება ნებისმიერი ახალი ომის წამოწყება. ვფიქრობ, აშშ-ის პრეზიდენტი ომის დაწყებას გადაიფიქრებს“. პოლიტოლოგის განცხადება ერთია, მაგრამ ორი დღის წინ მაიკლ პომპეომ ტელევიზიით გამოსვლისას არ გამორიცხა ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები სპარსეთის ყურეში.

ამასობაში კი დონალდ ტრამპი არც ბიზნეს საქმიანობას ივიწყებს. გასულ კვირას აშშ-ში ოფიციალურ ვიზიტად პოლონეთის პრეზიდენტი ანჟეი დუდა იმყოფებოდა. ტრამპთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ პოლონეთში აშშ უპილოტო საფრენ აპარატებს განათავსებს, რომლებსაც აქვთ დაზვერვის და შეტევის ფუნქციები. დუდამ ტრამპს შესთავაზა, პოლონეთში მუდმივად განათავსოს აშშ-ის ჯარები, რომლის ხარჯებს პოლონეთი აიღებს. ტრამპს იდეა მოეწონა და დუდა შეაქო. ამასთან, არც გერმანიის გაკრიტიკება დაავიწყდა გაზსადენ „ჩრდილო ნაკადი-2“-ს მშენებლობის გამო. „...გერმანელები არ ასრულებენ ნატოს პირობებს. პოლონეთი ასრულებს. ყოჩაღ! მადლობა!“ — განაცხადა ტრამპმა.

როგორც ცნობილი გახდა, პოლონეთი აშშ-ისგან F-35-ის ტიპის 32 ერთეულ სამხედრო თვითმფრინავს შეიძენს. თეთრი სახლის თავზე ნებისმიერი ფრენები აკრძალულია, მაგრამ დუდასთვის გამონაკლისი დაუშვეს და აჩვენეს ჰაერში F-35. ქვეით ჯარებს აშშ გერმანიიდან გადაიყვანს (საუბარია 1000–2000 სამხედროზე), სადაც 52 ათასი სამხედროა. დუდამ რუსეთის კრიტიკა სცადა, მაგრამ ტრამპმა უთხრა, რომ: „...იმედია, პოლონეთი რუსეთთან საუკეთესო ურთიერთობას დაამყარებსო“, რაზეც დუდა უმალ დაეთანხმა.

გასულ კვირას რუსეთის „ჩრდილოეთ დედაქალაქად“ წოდებული სანქტ-პეტერბურგი საერთაშორისო ეკონომიკურ სამიტს მასპინძლობდა. მთავარი სტუმარი ჩინეთის მმართველი სი ძინპინი იყო სოლიდური დელეგაციის თანხლებით. აქვე აღსანიშნავია აშშ-ის მრავალრიცხოვანი ბიზნესმენების ყოფნა რუსეთში. სამიტზე რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ჰკითხეს, ჩაერევა თუ არა აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომში. ამაზე პუტინმა ჩინური ანდაზით უპასუხა: „...როდესაც ორი ვეფხვი ჩხუბობს, ჭკვიანი მაიმუნი შორიდან უყურებს და ბრძოლის დასრულებას ელოდებაო“.

თუ არ მიიღებენ აშშ-ის პირობებს, ჩინელებს ახალი სანქციებით ემუქრებიან, რომლის ფასიც 320 მილიარდი იქნება. ტრამპი დარწმუნებულია, რომ ჩინელები იძულებული იქნებიან, დათანხმდნენ მის პირობებს. ჩინელები თავდაჭერილად მოქმედებენ. აე აპირებენ უპირობო კაპიტულაციას. ექსპერტების განცხადებით, ჩინეთს შეუძლია სერიოზულად დააზარალოს ამერიკული ბიზნესი. ამიტომაც სთხოვეს ტრამპს აშშ-ის ბიზნესმენებმა, დაარეგულიროს ჩინეთთან საქმიანი თუ პოლიტიკური ურთიერთობა. პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მისწერა კიდეც გასულ კვირას ტრამპს, ჩინეთმა სავაჭრო ომში გვაჯობაო.

სამყაროში კი „ცივი ომი“ სრული ძალით ამოქმედდა. ამას ემატება ცალკეულ რეგიონებში მართვადი თუ უმართავი ქაოსი. ახლა მთავარია, „ცივი“ ცხელ, დამანგრეველ ომში არ გადაიზარდოს. ექსპერტების პროგნოზით, მთავარია, „დიდი ოცეულის“ სამიტამდე შენარჩუნდეს მშვიდობა. იაპონიაში თვის ბოლოს G-20-ის შეხვედრაზე კი შეიძლება განიმუხტოს დაძაბული ვითარება. თუმცა, ვინ იცის…

**გია ბურდული**
551 71 27 07



# არა სიძულვილის ენას! გაუმარჯოს სიყვარულს!

## წერილი დაწერილია მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი მიიღებს კანონს სიძულვილის ენის აკრძალვის შესახებ



ჩემო ძვირფასო და საყვარელო ნაცებო და ნაცების განაყოფებო, მინდა მოგიტყაპუნოთ მხრებზე ხელი მეგობრულად და გითხრათ:

როგორ ხართ, საყვარლებო, როგორ ხართ, თქვე უფრთო ანგელოზებო, როგორ ხართ, თქვე უცოდველო კრავებო?

მას შემდეგ, რაც სიძულვილის ენით მეტყველება აიკრძალა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ საშინლად შემივარდა თქვენზე გული — გინდა მეძინოს, მაინც გულში მიზიხართ,



თვალს ავახელ — ზედ წამწამზე მიზიხართ, თქვე საკარელებო, თქვენა.

ყველგან თქვენ როგორ ხართ, თქვე არგასაწყვეტლებო, თქვე არგადასაშენებლებო — პარლამენტში თქვენ ხართ, სახელმწიფო სტრუქტურებში თქვენ ხართ, არასამთავრობოებში თქვენ ხართ, თვითმმართველობის ორგანოებში თქვენ ხართ...

გამოდით ერთი, სათითაოდ დაგთვალოთ და დაგნომროთ, რომ მერე თითოეული ცალ-ცალკე მოგიკითხოთ ძღვენითა დიდითა.

როგორ შეიძლება მე თქვენ მძულდეთ და სიძულვილის ენით გელაპარაკოთ, იმდენი სიკეთე გაქვთ ჩემთვის გაკეთებული — ჯერ ბიზნესი წამართვით, მერე დამიჭირეთ და სახლ-კარი გამაყიდინეთ, რომ გამოსასყიდი გადამეხადა, მაგრამ მაინც თავდავიწყებით მიყვარხართ და თქვენს დანახვაზე ელეთმელეთი მომდის — მინდა გულში ჩაგიკრათ მაგრად, მაგრად, ისე მაგრად, რომ თქვენმა ძვლებმა ჭახაჭუხი დაიწყოს, თქვენმა ხერხემლებმა ჭრიალი, რომ თქვენც ბოლომდე შეიგრძნოთ, რა სიამოვნებაა, როცა ძვლებს გილეწავენ და ხერხემალს გიმტვრევენ.

თქვენ გენაცვალეთ თქვენს ღაბაბიან ყანყრატოებში, ხანდახან ისე წამომივლის სურვილი, ყანყრატოში გეცეთ და სიყვარულით დაგახრჩოთ, რომ თავს ძლივს ვიკავებ.

სიძულვილის ენა უნდა ავკრძალოთ, სიძულვილის ენა პოლიტიკური პროცესების ერთობლივ წარმართვაში ხელს გვიშლისო, — ბრძანა პარლამენტის თავმჯდომარემ და ვეთანხმები, მაგრამ აქვე განმარტებას ვითხოვ — ხომ უნდა აგვიხსნათ, რას ნიშნავს სიძულვილის ენა და ის სიტყვები და ფრაზები ხომ უნდა ჩამოგვიწეროთ, რომლებიც სიძულვილის ენას მიეკუთვნება, თორემ ხომ შეიძლება, რაღაც შეგვეშალოს და ოპონენტს ისეთი რამ ვუთხრათ, რაც ჩვენ





საალერსო სიტყვა გვგონია და ამ დროს თურმე სიძულვილის გამომხატველი ყოფილა.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სჯობია პარლამენტმა სიძულვილის გამომხატველ სიტყვათა ლექსიკონი გამოსცეს — როცა ბრაზს და აგრესიას შევატყობთ საკუთარ თავს, კანონით აკრძალული რაღაც-რაღაცები რომ არ წამოგვცდეს, ჩავიხედავთ ამ ლექსიკონში და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ.



თუმცა მაინც შარია ეს ყველაფერი. ხომ გახსოვთ, რა ბრძანა ილია ჭავჭავაძემ: „ჩემზე ამბობენ, ის სიავეს ქართვლისა ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია! ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“...

უპრიანი იქნება, აქ დიდი ილიას მეორე ლექსის („ბედნიერი ერი“) ფრაგმენტიც გავიხსენოთ:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული, თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი —
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არრის მქონე,
არრის მცოდნე,
უძრუნველი და მშიერი
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?“

ახლა მე ნაციონალებს რომ ვუთხრა, ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ცუღლუტი, მანკიერი, უდიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არგამტანნი, ცბიერები ხართო, სიძულვილის ენით მეტყველებო, მეტყვიან და დამაჯარიმებენ.

არადა, ილიასი არ იყოს, ხომ შეიძლება ამ სიძულვილში დიდი სიყვარულიც დაინახოთ?

— შენი დედაო, რომ მიაძახებ რომელიმე ნაციონალს, ეს რატომ უნდა მიიღოს სიძულვილის გამოხატვად? იქნებ, ამ ფრაზით მასთან დამოყვრებას ვცდილობ დედის მხრიდან?

ასე რომ, რთული საკითხია, რთულზე რთული დასადგენია, სინამდვილეში სად გადის ზღვარი სიყვარულსა და სიძულვილს შორის.

არა მარტო სიძულვილის, სიყვარულის მიერ გაჩანაგებული და განადგურებულიც ბევრი რამ მინახავს ამ ტიალ წუთისოფელში...

...ირმა ინაშვილს უთქვამს: ქოცებს და ნაცებს ისედაც არ ძულთ ერთმანეთი, ეს კანონი ჩემს გამო და ჩემს წინააღმდეგ მიიღეს, მაგრამ ამ კანონის გამო მე ბოკერიას და ნაცებს ვერ შევიყვარებ და ამიერიდანაც იმას გავაკეთებ, რაც აქამდე მიკეთებია — სიძულვილს სიძულვილის ენით დაველაპაარაკები, ვინც სიყვარულს იმსახურებს, იმას სიყვარულის ენით მოვეფერებიო.

კაცმა რომ თქვას, ასე უფრო ჯობს, ასე უფრო სწორია.

აბა, ის არის საქმე, გძულდეს და სიყვარულს ეფიცებოდე, დასანახად ვერ იტანდე და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, ეუბნებოდე.

ფარისევლობა ჰქვია ამას, ფარისევლობაზე და ფარისევლებზე უფრო საშიში და სახიფათო ძალა კი დედამიწაზე არ არსებობს.

**P.S.** — სანამ კანონი არ მიუღიათ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ლევან ვასაძეს ის სახელი ვუწოდო, რასაც იმსახურებს — „ჩლუნგი ყ.ე“, — განაცხადა ნიკუტა გვარამიამ „კვირის აქცენტებში“.

ბატონმა ნიკუტამ საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს მის გამო და მის წინააღმდეგ იღებდეს ხელისუფლება ამ კანონს.

არა, პატივცემულო ნიკუტ, ეს კანონი სწორედ რომ თქვენს სასარგებლოდ იმუშავებს.

მისი მიღების შემდეგ ხომ ვერავინ დაგიძახებს „პეტუხს“, „ქათამს“, „პედერასტს“, „გეის“?!

ასე რომ, შენ და შენი ამფსონები იხეირებენ ამ კანონით ყველაზე მეტად...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# რა მისტიკურ-ოკულტურ ცდებს ატარებდნენ ნაცისტები საიდუმლო ლაბორატორიაში „კენინსბერგ 13“

მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მთავარი მისტიკური გამოცანა გახლდათ ობიექტი, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის წყაროებში კენისბერგ 13-ის სახელით მოიხსენიებდნენ. ლეგენდების თანახმად, დღევანდელი კალინინგრადის ტერიტორიაზე, რომელიც ომამდე პრუსიას ეკუთვნოდა, ჰიტლერის საიდუმლო სამხედრო ობიექტი მდებარეობდა, სადაც მაგიური იარაღის აღმოსაჩენად ოკულტური კვლევები ტარდებოდა.

აღსანიშნავია, რომ კალინინგრადის (ყოფილი კენინსბერგი) ფარგლებში, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ფართო მიწისქვეშა დერეფანი მდებარეობს. პირველი გვირაბები მე- 13 საუკუნეში აშენდა და მოგვიანებით, გაფართოვდა. ყველაზე საინტერესოა, რომ ყველა მიწისქვეშა კომუნიკაცია მეფის სასახლის ქვეშ მდებარე გვირაბში იყრიდა თავს, საიდანაც სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ქალაქის ნებისმიერ წერტილში შეუმჩნევლად მოხვედრა.

მეფის სასახლე, რომელიც შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, სწორედ კენისბერგის 13 ნომერში მდებარეობდა. ამ ადგილით წლების განმავლობაში არავინ დაინტერესებულა, სანამ ხელისუფლებაში ოკულტიზმით დაინტერესებული ადოლფ ჰიტლერი არ მოვიდა. მისტიკური კვლევების ჩატარებისთვის ადგილის შერჩევისას ჰიტლერის და მესამე რეიხის ბელადების ყურადღება აღმოსავლეთ პრუსიაში მდებარე პატარა ქალაქმა მიიქცია, რომელიც შუასაუკუნეებში ევროპელი ალქიმიკოსებისა და ჯადოქრების ევროპულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ ხდებოდა ჯადოების დამზადება და ოკულტური ლიტერატურის შექმნა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მესამე რეიხმა მივიწყებული ლაბორატორიის მუშაობა განაახლა.

უცნაურია, მაგრამ კენისბერგის ისტორიას ციფრი 13 ყოველთვის თან სდევდა: ქალაქი 1255 წელს დაარსდა. ციფრების ჯამი კი 13 შეადგენს. კენისბერგმა საბჭოთა არმიასთან კაპიტულაციას ხელი მე-13 კაბინეტში მოაწერა და ა.შ. სწორედ ამ ადგილზე შექმნა ჰიტლერმა თავისი მისტიკური კვლევების ლაბორატორია.

### ოკულტური კვლევები

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ლეგენდები არ ტყუიან. ქალაქში ნამდვილად არსებობდა ლაბორატორია, რომელიც მესამე რეეიხის სასარგებლოდ ატარებდა ცდებს მაგიის საბრძოლო მიზნებისთვის გამოსაყენებლად, უძველესი ოკულტური ცოდნისა და ასტროლოგიური გათვლებით მომავლის წინასწარმეტყველებისთვის. ჰიტლერის გათვლებით, კვლევები უნდა დასრულებულიყო სასწაულებრივი და მისტიკური იარაღის შექმნით, რაც გამოიწვევდა მესამე რეიხის მტრების სრულგანადგურებას.

თუ ისე, ლაბორატორიის შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცით, ისაა, რომ ლაბორატორიამ ომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო მუშაობა და მისი არსებობის შესახებ თითქმის არავინ იცოდა. მხოლოდ ფრაგმენტული მონაყოლებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რა სახის საქმიანობას ეწეოდა ჰიტლერის საიდუმლო ლაბორატორია. არსებული მონაცემების თანახმად, მიწისქვეშეთში კვლევები 1930-იანი წლებიდან დაიწყო და ომის დასრულებამდე გრძელდებოდა.

მიწისქვეშეთის გარდა, ოკულტური კვლევები ტარდებოდა სხვადასხვა ეპოქაში აშენებულ 4 ორსართულიან



შენობაში. ამ სახლების კედლებში შეგეძლოთ გეხილათ როგორც აღმოსავლეთის საკულტო ნივთები, ისე ქრისტიანული ხატები ან ინდიელების ნიღბები. ცხოველების სხვადასხვა ნაწილების დახმარებით ტარდებოდა რიტუალები და ექსპერიმენტები. ზემოთხსენებული საქმიანობის გარდა, ჰიტლერის ლაბორატორიაში ამზადებდნენ პოლიტიკური მოღვაწეებისა და ნაცისტური რეჟიმის მოწინააღმდეგეების ცვილის ფიგურებს, რომლებსაც ცხოველების თვალებს უსვამდნენ და ურთულესი მაგიური რიტუალების თანხლებით, ნემსებით ჩხვლეტდნენ, რაც შუა საუკუნეების ყველაზე საშინელ ჯადოქრობად ითვლებოდა.

დაუჯერებლად ჟღერს ის ფაქტი, რომ ქალაქის კაპიტულაციის შემდეგ ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევების შესახებ პრაქტიკულად, ვერც ერთი საბუთი ვერ აღმოაჩინეს.

ერთ-ერთი ვერსიით, საბჭოთა კავშირმა საბუთები ამერიკას გერმანიის ტექნოლოგიებსა და საბრძოლო ტექნიკაში გაუცვალა, თუმცა გაუგებარია, რატომ არ მოხდა ასლების გადაღება. სხვა ვერსიით, “კგბ” -ის არქივებში არსებული დოკუმენტები გაუჩინარდა, მესამე ვერსიით კი ამ დოკუმენტებს დღემდე საიდუმლო გრიფი ადევს, ამიტომ საბჭოთა სპეცსამსახურებმა ხალხში გაავრცელეს კენისბერგ 13-ის მონაცემების გაქრობის ვერსია. ასეა



როდესაც ჰიტლერის საიდუმლო ლაბორატორიებში მიმდინარე კვლევების შესახებ ხმები უინსტონ ჩერჩილამდე მივიდა, ის საშინლად აღელდა. გასაკვირი არაა, რომ 1944 წელს ინგლისელების ბომბდამშენებმა კენისბერგი მიწასთან გაასწორეს.

იმის მიუხედავად, რომ მთელი ქალაქი ნანგრევებად იქცა, ლაბორატორიის ოთხი შენობა და მათი მიწისქვეშა ლაბირინთები სრულიად უვნებელი გადარჩა.

ყველაზე პარადოქსულია, რომ კენისბერგ 13-ის თანამშრომელმა ჰანს შურმა, რომელიც გერმანიაში აღიარებული ასტროლოგი გახლდათ, ომის პირველივე დღეებში იწინასწარმეტყველა 1945 წლის გაზაფხულზე მესამე რეიხის დამარცხება. მაშინ მის სიტყვებს არავინ დაუჯერა, თუმცა, როცა წინასწარმეტყველება ახდა, ასტროლოგი დახვრიტეს.

**weekend.rambler.ru**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**

2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**— ჩემს მიწის ნაკვეთს არ აქვს სარწყავთან დამაკავშირებელი ხაზი. შემიძლია თუ არა, მომიჯნე მეზობლის ნაკვეთით ვისარგებლო, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა?**

— წარმოგიდგენთ სამართლის ნორმას, რომელიც სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 180. აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

* * *

**— მე და ჩემი მეუღლე ვზრდიდით მეუღლის ობოლ ძმისშვილს, რომელსაც ორივე მშობელი ავტოავარიაში დაეღუპა. გადავწყვიტეთ ბავშვი გვეშვილა, რადგან ჩვენ შვილი არ გვყავდა, ხოლო ჩემს ქმარს არ უნდოდა, ბავშვის მიმართ მხოლოდ ბიძის სტატუსით ეზრუნა, რადგან ბიჭი მართლა შვილივით გვიყვარს. შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, მაგრამ მოულოდნელად ჩემი მეუღლე დაიღუპა. ხომ არ შემექმნება პრობლემა ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით მეუღლის გარდაცვალების გამო?**

— არა, პრობლემა არ შეგექმნებათ, რადგან თქვენი მეუღლის სიცოცხლეშივე შეგიტანიათ სარჩელი სასამართლოში. ამ სარჩელში დაფიქსირებულია ნება თქვენი მეუღლისა, რომ სურს, იყოს ბავშვის მამა. ვფიქრობ, სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას:

მუხლი 1240. შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალებისას აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

თქვენს შემთხვევაში ყველა პირობა დაცულია: ბავშვი თქვენს ოჯახში უკვე იზრდება, როგორც შვილი და, ასევე, თქვენ და აწ გარდაცვლილ თქვენს მეუღლეს უკვე შეტანილი გაქვთ სარჩელი სასამართლოში. ბავშვის დაბადების მოწმობაში თქვენ მითითებული იქნებით, როგორც დედა, ხოლო თქვენი მეუღლე, როგორც მამა.

* * *

**— ვაფორმებთ საპროცესო შეთანხმებას პროკურატურასთან. შეიძლება თუ არა, სასამართლომ დაამძიმოს ან შეამსუბუქოს ჩვენი პირობები სასჯელის ნაწილში?**

— არა.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე- 6 ნაწილის შესაბამისად, “სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში”.

# DCF, ანუ როგორ ართმევენ ბავშვებს მშობლებს აშშ-ში



ამერიკაში არსებობს სტრუქტურა სახელწოდებით ბავშვთა და საოჯახო საქმეთა დეპარტამენტი (Department of Children and Families, DCF). სამმართველოს თანამშრომლებს შეუძლიათ მშობლებისთვის შვილის წართმევა ტელეფონით განხორციელებული ცრუ ზარის გამოც კი.

სამმართველო ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საფარველქვეშ შეიქმნა. DCF-ის განშტოებული სქემა აქვს — მისი განყოფილებები ყველა შტატში არსებობს.

თუ DCF ჩათვლის, რომ თქვენს შვილებს საფრთხე ემუქრებათ, სასამართლოს დახმარებით ორდერს აიღებენ და მანამდე წაიყვანენ თქვენს ბავშვს, ვიდრე თქვენ ორდერის გაცემის შესახებ შეიტყობ თ. თქვენი სახლი ერთადერთი ადგილი არ არის, საიდანაც ბავშვის წაყვანა შეუძლიათ. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებს ყველგან შეუძლიათ ბავშვის პოვნა და მასზე „მეურვეობის" აღება.

ერთ-ერთ ამერიკულ საიტზე, სადაც ამერიკის კონგრესის მიმართ ხალხის მიმართვაა განთავსებული, დევს პეტიცია, რომელშიც აღწერილია DCF უკანონო ქმედებები. პეტიციაში წერია: „ჩვენთან, მასაჩუსეტში, DCF-მ თავის სისტემაში 134 ბავშვი „გადაიყვანა" და ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი ბავშვი იკარგება".

იმისათვის, რომ DCF ოჯახში შეიჭრას, საკმარისია „კეთილისმყოფელის" ერთი ზარი, რომელიც იტყობინება, რომ თქვენს ოჯახში ბავშვებს არასათანადოდ ეპყრობიან; მხოლოდ ერთი ზარი, რომლის ავტორის ვინაობას ვერასოდეს გაიგებთ და თქვენს სახლში DCF-ის გამომძიებელი გამოჩნდება. ამერიკელი ოჯახის ადვოკატები აქვეყნებენ ინსტრუქციებს, როგორ უნდა მოიქცეს ოჯახი, ბავშვის დაბრუნების მცირე შანსი მაინც რომ გაჩნდეს. ინსტრუქციაში, რომელიც საიტზე „Dadvocacy" არის განთავსებული, ნათქვამია, რომ ბავშვის მშობლები გამომძიებელს იმ შემთხვევაშიც კი პატივისცემით უნდა მოეპყრონ, მათ მიმართ მტრულადაც რომ იყოს განწყობილი; უნდა გაიგონ გამიძიებლის გვარი და ტელეფონის ნომერი; შეაგროვონ იმ ადამიანების მონაცემები (ექიმების, მასწავლებლების, აღმზრდელების ელ.ფოსტა, ტელეფონი), ვინც მათ მოწმეობაზე განაცხადებს თანხმობას; 60 დღის გასვლის შემდეგ მოითხოვონ გამომძიებლის დასკვნის ასლი; თუ ბავშვის პატრონებს დაუნიშნავენ მშობელთა უნარების გასაუმჯობესებელ მეცადინეობებს, აუცილებლად იარონ იქ.

ადვოკატი კევინ სივერი, რომელიც DCF-ისგან ამერიკელთა დაცვაზეა სპეციალიზებული, წერს: „DCF თქვენი მეგობარი არ არის. მისი თანამშრომლები თქვენს სახლში იმისათვის არ მოვლენ, თქვენი ცხოვრება რომ უკეთესი გახადონ".

„DCF არა მხოლოდ სოციალური მუშაკების, კონტროლიორების, მენეჯერების, დირექტორების, იურისრების, მედდების, ტერაპევრებისა და სხვა მომსახურე პერსონალის უზარმაზარი არმიაა, ამ ორგანიზაციებს მხარს უჭერენ სამთავრობო ორგანიზაციები — ქალაქის, შტატის და ფედერალური კანონდამცველი ორგანოები — საოლქო და აშშ-ის გენერალური პროკურატურა, სასამართლოები, რომლებიც მათთვის თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას DCF-ის სასარგებლოდ გამოიყენებენ", — წერს კევინ სივერი, DCF-ისგან ამერიკელთა დაცვის ადვოკატი.

გამოძიების დასრულების შემდეგ ბავშვებს, რომლებსაც ოჯახებს ართმევენ, კერძო ორგანიზაციების გამგებლობაში გადასცემენ, რომლებსაც ეკისრებათ, მეურვეობასთან, ბავშვის გაშვილებასთან და ბავშვთა თავშესაფრებში განთავსებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ამ ტიპის ერთ-ერთ მსხვილ ორგანიზაციას, რომელიც კანზასის შტატში მდებარეობს და მარტო კანზასის შტატიდან 60 ათასი ბავშვი გაიყვანა ოჯახებიდან, KVC ჰქვია.

საიტზე change.ge განთავსებულია კიდევ ერთი პეტიცია, რომელიც კანზასის შტატის სენატისადმია მიმართული, სათაურით: „შეაჩერეთ ბავშვების გატაცება DCF/KVC-ის მიერ!"

„ჩვენ იძულებული ვართ, სინათლე მოვფინოთ DCF-ისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციების მოღვაწეობას, რომლებიც იტაცებენ ჩვენს შვილებს ნებისმიერი ბრალდების საფუძველზე. მათ მიჰყავთ ჩვენი შვილები, რომლებიც სრულიად უცნობ ადამიანებთან ცხოვრობენ. სიტუაცია შემაშფოთებელი სისწრაფით უარესდება და ეს ყველა შტატში ხდება, განსაკუთრებით კი კანზასში. ეს თანამედროვე მონობაა მისი ყველაზე უარესი გამოხატულებით. ვინც ამ ორი მონათმფლობელური ორგანიზაციისგან დაზარალდა, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ამ პეტიციას…", — პეტიციას ხელს აწერს დებრა ფლოიდი, პეტიციის ავტორი.

დებრა ფლოიდის პეტიციამ ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ დააგროვა და დახურეს.

ზოგიერთი მონაცემებით, DCF-ის მიერ ოჯახებიდან წაყვანილი ბავშვების 30–70% ზრდასრულ ასაკში დამნაშავეები ხდებიან, გოგონათა 50% შვილებს სრულწლოვანებამდე აჩენს, ბავშვთა თაფშესაფრებში კი მათ ფსიქოტროპული მედიკამენტებით ჭყიპავენ, რათა სახლისა და ახლობლების მონატრების გრძნობა ჩაუკლან.

როგორც „ბავშვთა უიფლებების დამცველმა" სხვა ორგანიზაციებმა, DCF-მაც ხელისუფლებისგან სრული სასამართლო ხელშეუხებლობა მიიღო. მოქალაქეების მიერ შეტანილი ვერანაირი სარჩელი მას ზიანს ვერ მიაყენებს. DCF-ის იურისტებსა და გამომძიებლებს ისევე იცავს კანონი, იმ მოსამართლეებს, რომლებიც მათთან თანამშრომლობენ.

კანზასის შტატში კიდევ ერთი საშინელი ფაქტი მოხდა. ოჯახური წყვილის პირველ შვილს დაბადებისას მცირე წონა ჰქონდა გენეტიკური მიზეზების გამო, რადგან დედა ტანად პატარაა და სხეულის ნაზი კონსტიტუცია აქვს. ერთი წლის წამების შემდეგ ორგანიზაციამ ოჯახს თავი დაანება, მაგრამ, როდესაც ოჯახს მეორე ბავშვი გაუჩნდა, იმავე პედიატრმა DCF-ში კვლავ დარეკა და ახალშობილის მცირე წონის შესახებ აცნობა.

DCF ცდილობდა ბავშვის მშობლების ჩართვას „ოჯახის შენარჩუნების" პროგრამაში ახლა უკვე მეორედ, მაგრამ ოჯახმა ამაზე უარი განაცხადა. მაშინ ორგანიზაციის აგენტები მათთან მივიდნენ სახლში და პატარა წაიყვანეს.

ახალშობილები უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობენ იმ წყვილებში, ვისაც ბავშვის აყვანა უნდა, ვიდრე ცოტა უფრო დიდები და, მით უმეტეს, მოზარდები.

სისტემა სახელმწიფოს დახმარებით შეუფერხებლად მუშაობს…

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# კიმ ჩინ ინის ძმა ცრუ-ს აგენტი იყო



ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ძმა კიმ ჩენ ნამი ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი იყო, — აცნობა **The Wall Street Journal**-ს ინფორმირებულმა წყარომ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

კიმ ჩენ ნამი 2017 წლის თებერვალში მოკლეს კუალა-ლუმპურის აეროპორტში. ორმა ქალმა მას სახეზე გადააფარა სწრაფი მოქმედების ნერვულ-მაპარალიზებელი ნივთიერებით გაჟღენთილი თავსაფარი. ქალების ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ისინი მოატყუეს — ქალები ფირობდნენ, რომ ისინი რეალითი შოუში იღებდნენ მონაწილეობას. დამნაშავე ქალბატონები უკვე გამოვიდნენ ციხიდან. სამხრეთ კორეამ მკვლელობაში ფხენიანი დაადანაშაულა.

როგორც ჟურნალი აღნიშნავს, ამერიკული დაზვერვა კმაყოფილია, რომ კიმისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კავშირის შესახებ მისი სიკვდილიდან მალევე გახდა ცნობილი. მხოლოდ გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ დაწერა ავტორიტეტულმა იაპონურმა გამოცემამ „ასახი სიმბუნმა", რომ კიმი მალაიზიაში შევხდა კორეული წარმოშობის ამერიკელს, რომელიც, ადგილობრივი ხელისუფლების აზრით, ამერიკული სპეცსამსახურებისთვის მუშაობდა.

როგორც ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, კიმ ჩენ ნამს სამშობლოში დიდი პოლიტიკური კავშირები არ ჰქონდა და ძალიან დიდი დრო გაატარა საზღვარგარეთ იმისათვის, რომ ვაშინგტონისთვის სასჭირო საყრდენი გამხდარიყო. კიმი დიდი ხანი ცხოვრობდა მაკაოში და კავშირი ჰქონდა უცხოურ სპეცსამსახურებთან, პირველ რიგში კი ჩინურ სპეცსამსახურებთან, — წერდა გაზეთი.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983